სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 29 ოქტომბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 232 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 232

ნოე კონსტანტინეს ძე კანდელაკი, სოფიო კანდელაკისა, ნინა მოსეშვილისა და სიძე ვარლამ მოსეშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

მაკარი კონსტანტინეს ძე კანდელაკი.

დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში სამშაბათს, 29 ოქტომბერს დღის 3 ს. წმ. გიორგის ეკლესიაზე

ქ. ლანჩხუთის თვითმართველობა მწუხარებით აუწყებს ლანჩხუთის მოქალაქეთ და ნაცნობ მეგობრებს ქალაქის საბჭოს და გამგეობის მდივნის

მაკარი კონსტანტინეს ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში სამშაბათს, 29 ოქტომბერს დღის 3 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაზე.

ქ. ლანჩხუთის თვითმართველობის გამგეობის წევრნი: ლუკა კვიტაიშვილი, ევგენი ებრალიძე და კოტე იმნაძე მწუხარებით აუწყებენ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებთ, ამხანაგებს და ნაცნობ მეგობრებს გამგეობის მდივნის

ამხ. მაკარი კონსტანტინეს ძე კანდელაკის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში სამშაბათს, 29 ოქტომბერს დღის 3 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაზე.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: იასონ ალექსის ძე, ალექსანდრა პროკოფის ასული კალოიანი შვილებით შალვა და ლილით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი შვილის თფ. წმ. ნინოს სასწავლებლის მე 7 კლასის მოწაფის

თამრიკო კალოიანის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 29 ოქტომბერს, მილიუტინის ქუჩა, № 3

გულდაწყვეტილი მოხუცებული დედ მამა მართა გრიგოლის ასული და ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ფურცელაძე, ძმები: ვასილი, ალექსანდრე და ვლადიმერ ლუარსაბის ძე ფურცელაძენი, და—მარიამ ლუარსაბის ასული მისკინოვისა, სიძე ნიკოლოზ ისაკის ძე მისკინოვი და და ნინო კიზირიასი აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალ. გორში, 27 ოქტომბერს გარდაიცვალა

გრიგორი (გრიშა) ლუარსაბის ძე ფურცელაძე.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 29 ოქტომბერს, ქ. გორში. გასვენება დილის 10 საათზე ღვთისმშობლის ტაძარში.

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქ. № 66). მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი 30 ოქტომბერს ს. ღ. 5 საათ. (3—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი ქმარი სტანისლავ კალატოზიშვილი, დედა ესმა ლევანის ასული ქეიშვილისა, ძმები: ქრისტეფორე, ალექსანდრე, პეტრე, ნიკოლოზი, დიმიტრი და და ელისაბედი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

მინია ილარიონის ასულის კალატოზიშვილის

უდროოდ დაკარგვას ცხედარს გაასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან თფ. სადგურზე სამშაბათს, საღამოს 5 საათზე და აქედან ქ. ოზურგეთში.

გულდამწვარნი შვილები: პეტრე იორამიშვილი ცოლშვილით, ბაბო კუპრაშვილისა მეუღლით და ანნა ნიკოლოზის ასული ჯარაევი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 29 ოქტომბერს გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელ დედის, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარ დის

ნატალია ნიკოლოზის ასული იორამიშვილის

სულის მოსახსენებლათ წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდამწვარი მეუღლე მარო და შვილები გიორგი, კოლა, ალექსანდრე, ლადო, ვასილი, კატუშა და რძალი ალექსანდრა კოჭლამაზაშვილები თავზარდაცემულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ძვირფასი მამა

დიმიტრი ივანეს ძე კოჭლამაზაშვილი.

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, 29 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, ნაძალადევი, საკუთარი ბინა, მაგისტრალის ქ. № 44 (1—1)

დომენტი პეტრეს ძე პაპიძე, იასონ სამარაღდონის ძე, ანიკო ყაფლანის ასული, სანდრო, დათიკო, კაკო და ნიკა ტატიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მეორენი უსაყვარელის ერთად ერთის ასულის და მესამენი კი დაუვიწყარ საყვარელ დედის

ვერიჩკა იასონ ტატიშვილის ასულის პაპიძისას.

დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს, 29 ღვინობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება სახლიდან, გროზნენის შესახვევი, № 6, დილის 10 საათზე. (1—1)

გურიის დამხმარე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ის ახლო მომავალში მოახდენს ლიკვიდაციას თავის მოქმედებისას და ის პირნი, რომელნიც დღემდე მსახურობენ საექიმო რაზმში 1 იანვრიდან განთავისუფლებულნი იქნებიან. ამასთან ერთად აცხადებს—ახალ საექიმო პუნქტს არსად ხსნის და ვინც თავის სურვილით თავს დაანებებს სამსახურს თ ადგილას არავის ნიშნავს.

გურიის დამხმარე კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის ათ ნოემბერს უნდა გაიხსნას.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, მაგრამ თითქოს მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი, დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოსი, არარატისა და ადერბეიჯანისა.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენს პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გულის ყური თქვენსკენ იყო მიპყრობილი... დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მოქმედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და ხვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ალღო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობი ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთკენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენს წარსულ ნამუშევარს, დააფასოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავალისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკონტროლო კომისიის მოხსენება, 3) საქ. პარლამენტის ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე, მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ, არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შენიშვნა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

ერთხელ კიდევ ორიენტაციაზე

ჩვენი ხალხის შეგნებულმა ნაწილმა კარგათ შეითვისა ორიენტაციის საკითხი: უკვე საკმაოთ განმტკიცდა ხალხში ის აზრი, რომ ჩვენ „საკუთარ თავის“ ორიენტაცია უნდა გვქონდეს.

ამა წლის 26 მაისს, სწორეთ იმ დღეს, როცა ჩვენი უკულტურო მეზობლების წყალობით ამიერ კავკასიის მთლიანობა იურიდიულადაც დაირღვა და სეიმი დაიშალა, ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ნეიტრალობა საქვეყნოთ ვაღიარეთ. ამით ჩვენ საკმაოთ ხათლათ და შკაფიოდ ვაუწყეთ ქვეყნას, რომ არც ერთს კოალიციაში ჩვენ არ შევდივართ და არც ერთს სახელმწიფოს არ ვებრძვით. და თუმცა გერმანიის ჯარები მოვიწვიეთ, მაგრამ არა ვისმესთვის ომის გამოსაცხადებლათ, არამედ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების დასაცავათ.

გერმანიამ ჩვენი მოწვევა მიიღო, რადგან მას მრავალგვარი ეკონომიური ინტერესი ჰქონდა და საერთაშორისო უფლება და ჩვეულება სრულიად არ უკრძალავს რომელიმე სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოსთან სავაჭრო თუ სხვაგვარი ხელშეკრულობა დასდოს.

ეს მდგომარეობა ჩვენთვის დღესაც გრძელდება.

მაგრამ დასავლეთის ფრონტზე დატრიალებულმა ამბებმა ჩვენა მაგიერ ჩვენი მტერ-მოყვარენი აალაპარაკა. თუ რა უნდა თქვან სომეხ რუს ნაციონალისტების ორგანოებმა, ადვილი გამოსაცნობია:

ისინი ჯერ დენიკინ ალექსეევის ლაშქრის მოსვლით სულდგმულობდენ, დღეს კი სომხის დაშნაკელების ავანტიურას აცხადებენ პოლიტიკურ სიბრძნეთ. ჰგონიათ, რომ რაკი საქართველოდან გერმანიის ჯარები წავლენ და ინგლისი შავ ზღვაზე გაჩნდება, ის პირველათ ქართველების ქლეტას შეუდგება ცალკე სახელმწიფოს დაარსებისა და გერმანიასთან კავშირისათვის.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ დაშნაკელები კვლავ იმეორებენ იმ ავანტიურას, რომელთაც მათ საერთაშორისო ომის დაწყებისას ჩაითრიეს სომხის ერი იმ მიზნით, რომ რუსეთის ბიუროკრატიის გული მოეგოთ. დაშნაკელები ისე გაიტაცა სხვისი დაჩაგვრის სურვილმა, რომ მოსისხლე მტერს შეუთანხმდენ ჩვენს წინააღმდეგ და ფიქრობენ მზაკვრობით და მოღალატეობით მოიგონ ინგლისის გული.

ვიმეორებთ, ჩვენ არ გვიკვირს, რომ ასე აზროვნობს და მოქმედობს დაშნაკელების პარტია, რომელმაც დაღუპვის პირამდის მიიყვანა უბედური სომხის ერი.

საკვირველია, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგებიც ვერ გასცილებიან დაშნაკელების ფილოსოფიას. ისინი, თუმცა ორგანიზაციულად ჩამოგვშორდენ, მაგრამ, გვგონია იდეურათ ჩვენთან უფრო ახლოს იდგენ.

„სოციალ-დემოკრატი“ კი კვლავ ალაპარაკდა ორიენტაციაზე და მოგვიწოდებს რუსეთთან შეერთებაზე ვიზრუნოთ.

დავარწმუნებთ „სოციალ დემოკრატს“, რომ ჩვენ სახუმაროთ არ გადაგვიდგამს 26 მაისის ისტორიული ნაბიჯი. მართალია, სხვა გვარ პირობებში ჩვენ იქნებ სხვა გზა აგვერჩია, მაგრამ რაკი ერთხელ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, ჩვენ ამ გზას აღარ გადავუხვევთ. და ტყუილათ ფიქრობს „სოციალდემოკრატი“ ვითომ ჩვენ შესაძლებლათ ვთვლიდეთ დემოკრატიულ რუსეთთან შეერთებას, ჩვენ რომ შეერთება გვდომოდა, უეჭველია გერმანიას შევუერთდებოდით, რადგან „სოციალდემოკრატების“ ხელმძღვანელები ჯერ ისე არ გაბალშევიკებულან, რომ გერმანიის დემოკრატია და მისი პოლიტიკური წყობილება უფრო მაღლა არ დააყენონ თუნდაც იმ რუსეთისაზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა შეიქნას.

საჭიროა ერთხელ და საბოლოვოთ შეიგნონ ჩვენმა მტერ-მოყვრებმა, რომ ჩვენ მხოლოდ უხეში ფიზიკური ძალა აგვაღებინებს ხელს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ საკუთარი სურვილით ამას ჩვენ არასოდეს არ ჩავიდენთ. ეს მით უფრო შეუძლებელია ჩვენის მხრით, რომ ჩვენი ისტორიული მტერი ოსმალეთი იძულებულია საზღვრების გაფართოების სურვილს გამოეთხოვოს. და კიდეც რომ ძლევამოსილი გამოვიდეს ინგლისი ამ ომიდან, ობიექტიური პირობები სულაც არ მოითხოვენ მისგან, მდიდარი და სტრატეგიულათ მნიშვნელოვანი საქართველო ოსმალეთს ან რუსეთს უთავაზოს.

პრესა

ბ-ნ თუმანოვს გაზ. „გრუზიიდან“ ახირებული თვისება დასჩემდა: თავის თავი უცდომელ რომის პაპათ წარმოუდგენია, განსაკუთრებით სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხში და ჩვენ გვკითხავს დარიგებებს. ერობათა უფლებების გაფართოვება თურმე უდიდესი ცოდვაა სახელმწიფოს წინაშე. ბ-ნ თუმანოვს წარმოუდგენია, რომ ამით ვიღაც ცენტრალურ მმართველობის დაუძლურებას ცდილობს და პათეტიურად გაიძახის:

„ჩვენ ენერგიულად ვდგევართ იმაზე, რომ საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ არ გაუშვას თავის ხელიდან ის უფლებები, რომელიც აუცილებელია ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დროზე მოსაწესრიგებლად“.

მაგრამ სად, ან რაში ამოიკითხა ბ-ნმა თუმანოვმა სურვილი ცენტრალური ძალისათვის ასეთ უფლებების ართმევის.

გაზ. „ერთობა“-ს ეს არ გამოუთქვამს. პირიქით, გაზეთი „ერთობა“ სწორედ იმასაა მოწადინებული, რომ მთავრობას ექნეს არა მარტო უფლება, არამედ შესაძლებლობაც საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელობისა, მაგრამ სწორედ ამისთვის საჭიროა იგი არ იქნეს ყელამდი ჩაფლული ადგილობრივ ცხოვრების წვრილმანებში. თუ ყოველი სოფლის შარა-გზის გაყვანა მას ეკითხა, თუ თითეული ტელეფონის ბოძის დადგმა მას მოეთხოვა, თუ ადგილობრივი გზის გაყვანა, ან მთელი რიგი ასეთ ადგილობრივ კულტურულ საქმიანობისა—მის ხელში იქნა თავმოყრილი, იგი ბიუროკრატიულ დაწესებულებათ გადაიქცევა და პოლიტიკურ ეკონომიურ შემოქმედების უნარს დაჰკარგავს. წვრილმანები ჩაჰყლაპავს მთელს.

დღემდე, როცა ერობა არ იყო, მთავრობა ძალა-უნებურად ასეთ კითხვებსაც უძღვებოდა. ჩვენ გვინდა, რომ დღეიდან ეს ფუნქციები თანაბრად და შესაფერად განაწილდეს ცენტრსა და ადგილობრივ ერობებს შორის, რომელნიც არა მარტო თვითმმართველობას წარმოადგენენ, არამედ ცენტრის ადგილობრივ ადმინისტრატიულ აპარატსაც. ერობა უნდა იქნეს მოძრავი, ამსრულებელი, ერთი გეგმის და პლანის—ცენტრიდან მიცემულის სისწორით და მკვირცხლად გამტარებელი, და ამსთვის იგი უნდა იყოს ღონიერი, მტკიცე, ფესვგადგმული ცხოვრებაში.

ბ-ნ თუმანოვს წარმოუდგენია, რომ თუ ადგილობრივი მართველობა გაძლიერდა, ამით ცენტრი დასუსტდება. დაუძლურდება. ეს მართალია ბიუროკრატიულ დაწესებულებების შესახებ, მარა დემოკრატიაში სულ წინააღმდეგი ხდება. დემოკრატიულ წყობილებაში ადგილობრივი თვითმართველობის სიძლიერე მთავარი საფუძველი და სიმაგრეა თვით სახელმწიფოს ცენტრალური მართველობისათვის. იგინი ერთ ძაფზე ასხმული ორგანიზაციის კრებულს წარმოადგენენ.

ამიტომ, ბ-ნ თუმანოვის დაპირდაპირებას არავითარი აზრი არა აქვს. „ერთობაში“ ჩვენ ვწერდით, რომ ამჟამათ მორიგი საკითხია გამაგრება იმ ფესვების, რომელიც დემოკრატიზმმა დაუშვა ძირს, ხალხის მასაში, როცა ისინი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისთვის მოიწოდა ადგილობრივ თვითმართველობაში. ჩვენთვის სასურველია და აუცილებელი, ხალხმა შეიყვაროს და შეითვისოს თვითმართველობის პრინციპები, გახდეს მისი მორჩილი და ამით ფუძეთ დაედვას თვით სახელმწიფოს.

საერთო ინტერესი ამ შემთხვევაში სავსებით ეთანხმება ადგილობრივს. განვითარება კუთხის, არის წარმატება მთელი ერისა, მთელი სახელმწიფოსი. აი, ამიტომ, დღეს ერობის გამაგრება, მათთვის რიგი ეკონომიური და კულტურული ფუნქციების გადაცემით მეტათ საჭიროა. ბ-ნი თუმანოვი კი ამაყათ გვიკიჟინებს:

„ჩვენ სავსებით გავიგებდით „ერთობის“ წინადადებას, რომ ის გამოდიოდეს თეორეტიკოსთა დემოკრატიზმიდან, ან ისეთ პირებისაგან იყოს ნაკარნახევი, რომელნიც დაინტერესებული არ არიან მაგარი და თავის მთლიანობით ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნით, მაგრამ ეს გაზეთი ეკუთვნის მენშევიკების პარტიას, რომელიც ყოველთვის მისდევდა პრაქტიკულ გზას და თანდათანობის ტაქტიკას. რა საჭირო იყო ახლა ასეთი ექსტრავაგანტური გამოსვლები და დემოკრატიზმის განყენებულ იდეების წამოყენება?“

ბ-ნი თუმანოვი სასტიკათ ცდება. ჩვენ სწორეთ პრაქტიკული საქმიანობა გვკარნახებს ნამდვილ, მტკიცე დემოკრატიზმს დავადგეთ და თვითმართველობათა განმტკიცებაში ამიტომ ვხედავთ თვით სახელმწიფოს განმტკიცების გზასა და ხიდს. ამიტომ ჩვენ გვინდა ახლად წარმოშობილი ერობის გამაგრება და გაღონიერება სახელმწიფოს გამაგრებას დავახმაროთ.

ჩვენის ღრმა რწმენით მხოლოდ მაგარს, მკვიდრს საფუძველზე აშენდება მაგარი და მკვიდრი სახელმწიფო.

შთაბეჭდილებანი

სომეხ ქართველთა ურთიერთობის საკითხი საქართველოს პარლამენტში.

მეტად მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ გაიხსნა 26 ოქტომბერს საღამოთი, პარლამენტის საგანგებო სხდომა. თეთრ დარბაზში აუარებელ გარეშე ხალხს მოუყრია თავი. მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი, სეირისთვის საყურებლათ მოსული ხალხი. ყველას ღრმა დაფიქრების ბეჭედი აზის სახეზე. ყველა გრძნობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხდება ჩვენს გარშემო. ღრმად არიან ჩაფიქრებული დეპუტატებიც.

ყველანი სულგანაბულნი მოელიან მთავრობის წარმომადგენლის განმარტებას.

მთავრობის წარმომადგენელი დინჯი და საქმიანი კილოთი მოუთხრობს პარლამენტს იმ ავანტიურის ამბავს, რომელიც სომხის ჯარის მოულოდნელ თავდასხმაში გამოიხატა. მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მთავრობის განმარტება: იქ ადგილი არა აქვს ცარიელ სიტყვებს და დიპლომატიურ ორპირობას. დემოკრატიას ღირსეულათ უყვარს თავისი სამშობლო, ის ერიდება სხვების დაჩაგვრას, მაგრამ სამაგიეროთ, მზად არის უკანასკნელ შესაძლებლობამდი ებრძოლოს გათავხედებულ მტრებს. მთელი პარლამენტი და მოსული საზოგადოებაც გრძნობდა ამას და ამიტომ იყო, რომ ყველა ასე მოკრძალებით უგდებს ყურს მთავრობის წარმომადგენელს. ვგრძნობდი, რომ ჩვენ ვეჩვევით საკუთარ ფეხზე დგომას და ვერავითარი ინტრიგა ვერ გადაგვაგდებს ამ გზიდან, თუ, რასაკვირველია, რომელიმე მოუხეშავმა გარეშე ძალამ არ მიგვისპო თავისუფლება.

მეტად საინტერესო იყო პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციების გამოსვლა: 26 მაისს შემდეგ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ჩვენს პარლამენტს არ მიუღია ასეთი სადღესასწაულო ელფერი, სასახლის თეთრ დარბაზში არ გვიგრძვნია ასეთი ერთსულოვნობა ფრაქციათა შორის. ეტყობა, ამ მომენტის სიდიადე თვით დამოუკიდებელმა ნაციონალ-დემოკრატებმაც კი იგრძნეს, რის გამო დიდი მორცხვობა ემჩნეოდა ბ. ვეშაპელს, რომელმაც ჩვეულებისამებრ აქაც დისონანსი შეიტანა საერთო განწყობილებაში, მაგრამ, როცა სოციალ-დემოკრატიას და დემოკრატიულ მთავრობის ნაბიჯებს იწუნებდა, ჩვეულებრივი ვეშაპელისებური რიხი და გამბედაობა აკლდა.

მაგრამ ნაციონალ დემოკრატების გამოსვლა იმდენათ არავის აინტერესებდა, რამდენათაც დაშნაკცუთიუნის ფრაქციის პასუხი. ყველა მოუთმენლათ მოელოდა მათს სიტყვას, ყველას უნდოდა გაეგო, რას იტყვის საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი პარტია დაშნაკცუთიუნისა! შესძლებს თუ არა ის საქვეყნოთ დაჰგმოს სომხეთში მყოფი ამხანაგების მოღალატური ნაბიჯი, თუ აქაც გაიმეორებს იმ სტუმრის ამბავს, რომელმაც მამალი მოიპარა და, თუმცა ნაქურდალს კუდი უჩნდა, მაგრამ პატრონს მაინც ეფიცებოდა, არა ვიცი რაო.

დაშნაკცუთიუნის წარმომადგენელმა კარგათ შეასრულა თავისი როლი: მან სიტყვა ბანზე ააგდო და კერძო პირების ავანტიურათ გამოაცხადა სომხის ჯარის ჩვენის საზღვრებში შემოჭრა. მაგრამ, ნათქვამია, [illegible] ჩიტი ორთავე ფეხით გაებმის მახეშიო. დაშნაკელების ორატორს რამდენიმეჯერ უღალატა ენა და ათქმევინა: „თქვენი მთავრობაო“, თუმცა ორატორმა გაასწორა: „ჩვენი მთავრობაო“, ამან დარბაზში მხოლოდ სიცილი გამოიწვია.

ამიერიდან ჩვენ ვიცით, თუ ვისთან გვაქვს საქმე დაშნაკელების სახით.

სხდომის დასასრული ნამდვილი აპოთეოზი იყო: მთავრობამ გამოაცხადა, რომ შვეციის, დანიის და შვეიცარიის

მთავრობებს უკვე უცვნიათ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და დიპლომატიური წარმომადგენლები დაუნიშნავთ; ინგლის-საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების ელჩებს თავს უდვიათ თავიანთ მთავრობას მოელაპარაკონ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათაც იცნონ.

ამ ცნობას პარლამენტი აღტაცებით შეხვდა.

და ამ რიგათ პარლამენტის საგანგებო სხდომა სრულიათ მოულოდნელათ გადაიქცა დიდ პოლიტიკურ ზეიმათ.

ელ.

საქართველოს პარლამენტი

25 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული).

კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შესახებ.

ალ. ლომთათიძე. რამოდენიმე თვის წინად ეროვნულმა საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა შემუშავება საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროექტისა. მართალი უნდა მოგახსენოთ, ეს კომისია როცა ამ მუშაობას ხელს კიდებდა, განიცდიდა დიდს გავლენას იმ მდგომარეობისა, რომელიც იმ ჟამათ შექმნილიყო: როცა კომისია მუშაობას შეუდგა, მაშინ საარჩიენო უფლებები, დემოკრატიული პრინციპები ჩაწიხლული, ფეხ ქვეშ გათელილი იყო. მაშინ ასეთი განცდა იყო, რომ ვფიქრობდით—ვაი თუ რუსეთიდან გადმოსროლილმა ანარქიამ ჩვენშიაც იპოვოს ნიადაგი და წაილეკოს ის მცირე რამ, რომელიც დარჩენილიყო რევოლიუციის მონაპოვარისაგან. მაგრამ ჩვენ გვწამდა ჩვენი ხალხის უმრავლესობის შეგნება, პოლიტიკური სიმწიფე და ვამბობდით, რომ ეს ყველაფერი დროებითია და გაივლის. ჩვენი იმედები გამართლდა. ანარქია მოსპობილი არის და ჩვენი პარლამენტი სდგას უკვე დამფუძნებელი კრების საკითხის გადაჭრის წინაშე.

როცა ამ მუშაობას ჩვენ შეუდექით, ჩვენს წინაშე თავისთავად წამოიჭრა საკითხი იმ მასალების შესახებ, რომლითაც შეიძლებოდა სარგებლობა დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროექტის შედგენის დროს. ჩვენს ხელთ იყო, მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელი კრების საარჩევნო მასალები. კომისია გაეცნო ამ მასალებს და როცა შეადარა რუსეთის სინამდვილე ადგილობრივ პირობებს, დიდი განსხვავება აღმოაჩინა.

რუსეთში, როგორც იცით, არსებობდა ორი დაწესებულება: ერობა და ქალაქის თვითმმართველობები. ჩვენში კი ერობის არჩევნები შექმნის პროცესში იყო და ეს დაწესებულება ამ მიზნისთვის ჩვენ არ გამოგვადგებოდა. ჩვენ იძულებული ვიყავით საარჩევნო დებულებათა ცხოვრებაში გატარება დაგვეკისრა მხოლოდ ქალაქის თვითმმართველობაზე. ამ მხრით კომისიის გადაწყვეტილება ასეთი გახლავთ: დებულება, რომელიც თქვენ, პარლამენტის წევრებს დაგირიგდათ, წინეთ იყო შემუშავებული, როცა ერობაზე მხოლოდ ლაპარაკი იყო და ამიტომ დებულებაში ერობის შესახებ არაფერი არ არის. ქალაქის თვითმმართველობა განაგებს მხოლოდ იმ ტერიტორიას, რომელიც ქალაქის ფარგლებში შედის. ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი: როგორ მოეწყოს პროვინციებში არჩევნები, რა პრინციპზე იქნას აშენებული კომისიები.

მთავარი პრინციპი, რომელიც კომისიამ მიიღო, ეს არის: არჩევნებში და კომისიებში მონაწილეობა მიიღოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და ჯგუფებმა. ქალაქის თვითმმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

არჩევნების წარმოების გამგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის ცენტრალურსა, საქალაქო, სამაზრო და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს. პარლამენტმა უნდა გამოყოს თავის შემადგენლობიდან განსაკუთრებული კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს არჩევნებს. რასაკვირველია, მთავრობამ თავისი აპარატით უნდა დაეხმაროს არჩევნების მთავარ ხელმძღვანელ კომისიას.

კომისიამ გაითვალისწინა რა ყველა ის შედეგები, თუ რა მოყვა ჯარის პოლიტიკაში ჩარევას, დაადგინა: ჯარს არა აქვს უფლება მიიღოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა, მას უფლება ეძლევა მხოლოდ პასიური მონაწილეობის მიღებისა.

კომისიამ დაადგინა: ადმინისტრაცია პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. მას არა აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, გარდა უბრალო მანქანაზე მომუშავეთ, გადამწერთ და სხვა ასეთ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ, რომლებსაც არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ მოქალაქეებზე. არჩევნების დროს, ექნებათ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, არ არის ნაჩვენები დებულებაში.

აქტიური მონაწილეობის უფლება აქვს ყველა იმას, ვისაც 19 წელი შეუსრულდა.

კომისია თავიდან იმ აზრს ადგა, რომ რაც შეიძლებოდა ჩქარა მომხდარიყო არჩევნები. ჩვენ ყველაფერი მზათა გვაქვს, შესაძლებელი იყო დეკემბრის შუა ანუ ბოლო რიცხვებში მაინც მოგვეხდინა არჩევნები, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელს გვიშლის მთიანი ადგილები. იქ მოუხერხებელია არჩევნების მოხდენა. ამ საკითხზე პარლამენტი აუცილებლათ იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას. ზაქათალის ოლქი ჩვენს საარჩევნო ქსელში შედის. ამ ჟამად ჩვენს საარჩევნო ტერიტორიას მოემატა ორი მაზრა, ახალციხის და ახალ-ქალაქის. განზრახული გვქონდა 120 დეპუტატი ყოფილიყო არჩეული, მაგრამ, რადგანაც შემოგვემატა ტერიტორია ამიტომ გავადიდეთ 130 კაცამდე

პირადობის ბარათი სავალდებულოა მხოლოდ იმ ქალაქებისათვის, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 2000 აღემატება. სოფლებში სავალდებულო არ არის.

საგანგებო სხდომა.

26 ოქტომბერი.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

ნ. რამიშვილი. მთავრობის დავალებით, მაქვს პატივი გაგაცნოთ ის სამწუხარო კონფლიქტი, რომელიც სომხეთს და ჩვენს შორის მოხდა. 18 ოქტომბერს მოსაზღვრე ხიდი და კობერის მიდამო დაკავებულ იქნა სომხის ჯარის ნაწილების მიერ. ეს დაპყრობა მოხდა საქართველოს მთავრობის შეუტყობინებლივ. გვაქვს საბუთი განვაცხადოთ, რომ ეს დაპყრობა მოხდა ოსმალებთან შეთანხმებით. ასეთია სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლის განცხადებაც. თქვენთვის გასაგები იქნება ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ჩვენში ამ ფაქტმა. ყოველი ასეთი ნაბიჯი უნდა მომხდარიყო თუ შეთანხმებით არა, ჩვენთან გაზიარებით. არც ერთი და არც მეორე შემთხვევა არ იყო დაცული. უნდა განვაცხადო, რომ მთავრობას თფილისის გუბერნია საქართველოს უდავო ტერიტორიათ მიაჩნია (ტაში). მთავრობამ საჭიროთ დაინახა მიემართა ნოტით სომხეთა დიპლომატიურ წარმომადგენელ ჯამალიანისთვის. ნოტაში აღნიშნული იყო რა სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მთავრობა დასძენდა, რომ იგი მზათაა სომხეთა და ქართველთა საზღვრების საკითხები მშვიდობიანის გზით გადაჭრას. საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ რადგანაც ასეთ შეთანხმებას ადგილი არ აქვს, სომხების ჯარების წინსვლას ჩვენი მთავრობა შეხედავს, როგორც მტრულ განწყობილებასო. ამ ნოტის შესახებ დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა განაცხადა, რომ ის დაუყონებლივ გადასცემს ნოტას მთავრობას და გამოსთქვა სურვილი, რომ ეს სადავო კითხვა მშვიდობიანი გზით გათავებულიყო. მიუხედავათ ასეთი განცხადებისა დღემდე სომხეთის რესპუბლიკის მიერ აუცილებელი ნაბიჯები ჯერ-ჯერობით არ არის გადადგმული. როცა ჩვენთვის აშკარა შეიქნა, სომხის ჯარმა გადმოლახა თფილისის გუბერნია და დაიკავეს ის ადგილები, რომელიც ჩვენს ჯარს ეპყრათ, ჩვენ მივიღეთ სათანადო ზომები; გავგზავნეთ სამხედრო ძალა, რომელსაც უნდა დაეცვა ჩვენი საზღვრები. ჯავშნიან მატარებლის უფროსმა მიმართა ულტიმატუმით სომხის ჯარებს დაეცალათ სადგური კობერი და კალაგერანის ხიდი. ეს ულტიმატუმი სომხის ჯარმა შეასრულა და ჩვენც დარწმუნებული ვიყავით მდგომარეობა მშვიდობიანი გზით გათავდებოდა. ჩვენს ასეთს იმედს მიეცა საფუძველი, როდესაც მივიღეთ სომხეთის რესპუბლიკის თავმჯდომარის კაჩაზნუნის დეპეშა, რომელშიაც ის აღნიშნავდა, რომ მისი მთავრობა თანახმაა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს ეს კონფლიქტი. ამის საპასუხოთ, მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ, სამხედრო მინისტრმა იმავე დღეს შეატყობინა კაჩაზნუნს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა მშვიდობიანის შეთანხმებით გადაჭრას ეს საკითხი, ხოლო საზღვრებზე მდგომთ ნაბრძანები აქვთ საზღვრების საკითხის გადაწყვეტამდე თავის ადგილზე იდგენ და არ დაიწყონ სამხედრო მოქმედება. მიუხედავათ ამისა, 23 ოქტომბერს მივიღეთ ცნობა, რომ სომხის ჯარები მოითხოვენ ჩვენი ტერიტორიის ნაწილის დაცლას, რომელიც დაკავებული იყო ჩვენი ჯარების მიერ. დაიწყო აგრეთვე მღელვარება სანაინის რაიონში. მთავრობამ საჭიროთ დაინახა ნოტით მიემართნა სომხეთის მთავრობისთვის, სადაც აღნიშნული იყო, რომ თანახმად მათი თხოვნისა სამხედრო მინისტრმა უბრძანა ჩვენ ჯარებს ქარინჯის ხაზზე მდგარიყვნენ. სომხების ჯარები განაგრძობდენ წინსვლას. მათ მოითხოვეს ქარინჯის დაცლა და აიძულეს გერმანელების მცირე რიცხოვანი რაზმი, რომელიც იქ იდგა და სრულ ჩვენ განკარგულებაში იყო, დაეხივნა. და ამიტომ ვაცნობეთ, თუ რომ სომხის ჯარის ნაწილები ეხლავე არ დასცლიან იმ ადგილებს, რომელიც ოსმალთ წასვლამდე ჩვენ გვეპყრა, საქართველოს მთავრობა ჩასთვლის ამ აქტს სამხედრო მოქმედების დაწყებათ და მთელი პასუხისმგებლობა დაატყდება იმ მთავრობას, რომელმაც ეს გამოიწვია. ასეთი იყო შინაარსი იმ ნოტისა, რომელიც გადავეცით სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელ ჯამალიანს. პასუხი ამ ნოტასა ჯერ არ მოგვსვლია. პასუხის დაგვიანება შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ წესიერი მიმოსვლა არ არის აღდგენილი და შეიძლება მთავრობამ დროზე ვერ მიიღო ჩვენი ნოტა. ჯამალიანმა გვთხოვა ნება დაგვერთო ორ მათ წარმომადგენელთათვის გამგზავრებულიყვნენ საგანგებო მატარებლით სანაინის რაიონში, რათა გამოერკვიათ ყოველისფერი და მიეღოთ საჭირო ზომები, რომ არ გადაიდგათ სომხის ჯარებს დამღუპველი ნაბიჯები. დელეგატიბი უკვე გაემგზავრნენ. აქვე უნდა განვაცხადო, რომ მთავრობამ მიიღო ზომები, რათა იქნეს დაცული მისი უფლებანი. გამოცხადდა სამხედრო წესები ბორჩალოს მაზრაში, ყოველივე მიმოსვლა მატარებლების შეწყვეტილია სამხრეთ ნაწილში სად. ნავთლუღიდან ჩვენ საზღვრამდე. მიმოსვლა იქნება მხოლოდ სამხედრო მატარებლების. შეწყვეტილი იქნება ბონების მიცემა, რომელიც უნდა მიეღო სომხეთის მთავრობას. აქედან გაემგზავრნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლნი, რომელთაც მიზნათ აქვთ ხელი შეუწყონ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, ხელმეორეთ უნდა განვაცხადო, რომ თფილისის გუბერნია მიგვაჩნია საქართველოს უდავო ტერიტორიათ. ერთი ნაწილი საზოგადოებისა პრესაში ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ და ბრალსა გვდებენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ღალატში. ერთა თვითგამორკვევის პრინციპი კი არ გულისხმობს ამა თუ იმ ტერიტორიიდან რამოდენიმე სოფლის გამოყოფას. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ელზას-ლორენის კითხვის გადაჭრა უნდა მოეთხოვნათ ნაწილობრივ მოსახლეობის მიხედვით და არა მთელ ელზას ლორენისთვის. ჩვენ დემოკრატიულ სამართლიანობის პრინციპს არ ვღალატობთ, მხოლოდ ამ საკითხის იარაღით გადაჭრა ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია. ეს გაახარებს იმ მესამეს, რომელიც შესცქერის თუ როდის გაჩაღდება მოძმეთა შორის ბრძოლა. საქართველოს მთავრობა თანახმა არის ყველა ეს სადავო საკითხები გადასწყდეს შეთანხმებით, არბიტრაჟის საშუალებით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს წინადადება ერთად-ერთი გზაა კონფლიქტის თავიდან ასაშორებლათ. იმედს გამოვსთქვამთ, რომ გაიმარჯვებს გონიერება და არ გვექნება საბუთი ვიფიქროთ, რომ სომხეთი მოსურნე იქნება სისხლის ღვრის. (ტაში).

გრ. გიორგაძე (სამხ. მინ.). დღიდან ჩვენი არსებობისა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენ ვაღიარეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა არის ნეიტრალური, მაგრამ ჩვენი არსებობა, ჩვენი საზღვრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს (ტაში). ამ მოძღვრებაზე ვზრდიდით ჩვენ რეგულიარულ ჯარს (ტაში), ამ ჯარმა უნდა დაიცვას საზღვრები, ამ ჯარმა უნდა დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარ (ტაში), ამ ჯარმა უნდა გაილაშქროს შინაური მტრების, ანარქიის წინააღმდეგ, ამ ჯარმა უნდა დაიცვას რევოლიუცია თუ მას თავს დაესხენ (ტაში). როცა სომხებმა დაიპყრეს კობერი, ჩვენ შეგვეძლო ეს ომის გამოცხადებათ მიგვეღო და იარაღით ხელში წავსულიყავით მათ წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეს არ ვქენით, ჩვენ გვინდოდა მეზობლებთან სადაო საკითხი მშვიდობიანი გზით გადაგვეწყვიტა. დღეს კი მდგომარეობა ასეთი არის: მანამ, სანამ ჩვენ ყოველივე სამშვიდობო ზომებს არ ამოვწურავთ, მანამდის არ ვუბრძანებთ ჩვენს ჯარს იარაღი აიღოს ხელში და მათ წინააღმდეგ გაილაშქროს.

აქ არის ერთი გარემოება, რომელსაც აუცილებლათ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს: როდესაც ჩვენი ჯარები საზღვარს იჭერდენ, მეორე მხრიდან მათ თოფები დაუშინეს. ეს, მე მგონია, გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სომხის რეგულიარულ ჯარს თან ახლავს არა რეგულიარული ნაწილები, რომელთაც სურთ ნაციონალური შუღლის, მტრობის გაღვივება და თუ მათ ეს მოახერხეს ისეთი ცეცხლი დაინთება, რომ მისი ჩაქრობა შემდეგ ძნელი იქნება. თუ კი ჩვენს „ბრონევიკებს“ თავს დაესხნენ, შიგნით ჩვენს სახელმწიფოში, თუ კი შიგნით არეულობას დაიწყებენ სომხები, ანუ ოსმალთა სოფლები, ჩვენ მათ მოვეპყრობით როგორც მოღალატეებს, სულ ერთია სადაც არ უნდა იყოს ის. (დუშეთში, ბორჩალოში თუ თფილისში) და ჩვენ მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთ (ტაში). მე ბედნიერი ვიქნები თუ არ შემექნება ჩვენი მეზობლების საწინააღმდეგოთ ჯარისათვის „უქაზის“ გაცემა, მაგრამ თუ კი სამშვიდობო ზომებმა არ გასჭრეს და საქმე მორიგებით არ გათავდა, მაშინ მე იძულებული ვიქნები შესაფერი ბრძანება გავცე და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ჯარი მაშინათვე ფეხზე დადგება და საზღვრებს სასტიკათ დაიცავს. (ხანგრძლივი ტაში).

სოც.-დემოკრატების აზრი.

ს. არსენიძე. როდესაც ევროპაში ზავის სხივები ანათებს, ჩვენში ახალი ომის ღრუბლები იკრიბება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ომს პატარა ერი იწყებს. დიდი ერი კიდევ შესძლებს გადაურჩეს და თავისი საკუთარი სახე შეინარჩუნოს, მაგრამ ეს არ ითქმის პატარა ერზე. ის ყოველთვის მსხვერპლი ხდება იმ მესამის, რომელიც მოისურვებს მის დამონებას და მფარველობას იკისრებს. როდესაც პატარა ერი, ხალხი ომის გამოსაცხადებლად ემზადება, მაშინ მე მგონია, რომ ისინი მოქმედებენ სხვისა ჩაგონებით, გარეში ძალის წაქეზებით, რომელსაც სურთ სხვისი ხელით გაბატონდნენ. ზოგიერთი ცნობები, რომელნიც აქ იქნენ დღეს წაკითხული, მიუთითებდნენ კიდევაც იმ მესამე ხელზე, რომელიც თავის საქმეს აკეთებინებს სომხის ხალხს.

ამ ჟამად საინტერესოა არა ის, თუ ვინ არის და რა მიზნები აქვს მესამე ძალას, არამედ ის, თუ ვინ ემორჩილება ამ მესამის გავლენას, და ვისა სურს აკეთოს სხვისი საქმე და დაღუპოს თავისი თავი და სხვაც.

დღეს ევროპის დიპლომატია სიტყვით მაინც გვერდს ვერ უქცევს დემოკრატიულ პრინციპს საერთაშორისო კონფერენციით სადავო კითხვების გადატანას და უკვე ამის სასარგებლოდ დიდი კამპანია სწარმოებს ევროპაში. ჩვენ ვამბობთ, რომ მთავრობამ, რომელიც საქართველოს განაგებს, არა თუ სიტყვით უნდა იხელმძღვანელოს ამ დემოკრატიულ პრინციპით, არამედ საქმითაც უნდა განახორციელოს.

ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობის ცდა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, სავსებით დამაკმაყოფილებელია. მისი ნაბიჯები ფრიად დემოკრატიულია და როგორც ასეთი, სავსებით მისაღებია. მე მაკვირვებს ის თავდაჭერილობა, რომელიც ჩვენს მთავრობას ამ შემთხვევაში გამოუჩენია. ძნელია, როცა თავს გესხმიან და ერთი წუთით წინეთ არ გატყობინებენ, (იმპერიალისტური ქვეყნები, როცა ერთმანეთს ესხმიან თავს, 24 საათით ადრე მაინც ატყობინებენ). როცა მალულათ, ყაჩაღურად თავს გესხმიან თავის დაჭერა, მოთმენა ძნელია. მე პირდაპირ მაკვირვებს ჩვენი ჯარის თავდაჭერილობა, სჩანს, რომ ჩვენი დემოკრატიული ჯარი ღირსია დემოკრატიული რესპუბლიკისა (ტაში). მე მაკვირვებს ის გარემოებაც, რომ როცა საჭირო არ არის, მაშინ ტელეფონიც მუშაობს და ტელეგრაფიც, ხოლო როცა საჭიროა პასუხის გაგება მეზობელ მთავრობისაგან, თუ რა ხდება საზღვარზე, მაშინ არც ტელეფონი მუშაობს და არც ტელეგრაფი (ტაში).

მე უნდა მოგახსენოთ, რომ თუ დღეს შეჩერებულია ომი, ამას ვაწერ სულ სხვა ძალას, რომელიც ყველა სახელმწიფოში არის—ეს არის დემოკრატია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სომხის დემოკრატია თავის სიტყვას იტყვის და ჩვენ მათთან მოვძებნით საერთო ენას. დემოკრატიას ყველგან აქვს გავლენა და ის მოახერხებს ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. საზოგადოთ, მთავრობას, სადაც ნაციონალისტები სჭარბობენ, არ სჩვევია სადაო საკითხების დემოკრატიული თვალსაზრისით გადაწყვეტა, პირიქით, ის ბრძოლის გაღვივებას, შუღლის ჩამოგდებას ემსახურება, ეს ნაცბდი გზა და საშუალებაა, ეს ერთნაირად გამოიხატება ყველგან. ჩვენ გვინდა ხაზგასმით ვაღვიაროთ, რომ ამ ორი ერს სადაო არაფერი აქვს. თუ ეს დავა იწყება მეთაურთა წყალობით, რომელთაც სურთ თავისი არსებობის გახანგრძლივება, მაშინ დემოკრატია უნდა შეეცადოს მათს ალაგმვას. ასეთია საქმის ვითარება. მაგრამ აქედან არავინ არ უნდა გამოიყვანოს ისეთი დასკვნა, რომ დემოკრატია ნებას მისცემს ვინმეს თავისი ინტერესები შელახოს, უნდა იცოდეს ყველამ, რომ დემოკრატია იცავს რესპუბლიკას ყოველგვარ თავდასხმისაგან, ვისგანაც არ უნდა იყოს ის. ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები უზრუნველყოფილი იყოს (ტაში). ამიტომ ჩვენ ვიზიარებთ ყოველგვარ ნაბიჯს მთავრობისას, რომელიც მიმართული იქნება რესპუბლიკის განმტკიცების, საზღვრების დაცვისაკენ და ჩვენ სასწორზე დავდებთ ყველაფერს და ისე დავიცავთ რესპუბლიკას და რევოლიუციას. (ხანგრძლივი ტაში).

შ. ნუცუბიძე (ს. ფ.) აღნიშნავს; რომ სომხებსა და ქართველებს შორის არასოდეს არ ყოფილა მტრული განწყობილება; მაგრამ დღეს მდგომარეობა შეიცვალა და კონფლიქტი უკვე მოხდა. ორატორი ამის მიზეზებს იკვლევს და ამბობს, რომ ამის მიზეზი უთუოდ მომავალი კონფერენციისათვის ნიადაგის მომზადება უნდა იყოს და რაც აქამდე ვერ შესძლეს, იმის გაკეთებას ახლა ფიქრობენ, მაგრამ ეს ნაბიჯი თავისთავად ძალიან საბედისწერო ნაბიჯია. და თუ კი მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდა საქმე, თუ კი იარაღზე მიდგა ჯერი, მაშინ აქ სხვადასხვა ჯგუფები არ იქნებიან და მთელი ქართველი ხალხი ფეხზე დადგება და მხარდამხარ გაჰყვება მთავრობას.

ი. გობეჩია (ს. რ.) იწონებს მთავრობის ნაბიჯებს და ემხრობა წინეთ მოლაპარაკე ორატორების აზრს.

ივ. გომართელი. აღნიშნავს, რომ სომხის ხალხი მისდევს დაშნაკცუტუნის პარტიას, რომელიც ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს; ერთს ლაპარაკობს, ხოლო მეორეს აკეთებს, ორატორი ეხება დაშნაკელების მოქმედებას საქართველოში და ამბობს, რომ ჩვენ მათ პარლამენტში შემოსვლას სიხარულით მივეგებეთ, მათაც აღგვითქვეს დეკლარაციულ სიტყვაში, რომ ჩვენთან ერთად დაიცავენ საქართველოს ინტერესებს, ხოლო მათი პრესა დღესაც, როგორც წინეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოუწოდებს ყველას. ჩვენი მთავრობა ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. ის სრული ნდობის ღირსია, ხოლო მე მაინტერესებს, რას ფიქრობს აქაური სომხობა?

ხპ. კედია (ნაც. დემ.) ჩვენმა მთავრობამ თავისი ნაბიჯებით დაამტკიცა, რომ ის ღვიძლი შვილია ტრადიციის. მთავრობის ნაბიჯები დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ჩვენი საზღვრები დაიკეტოს. ლტოლვილების საკითხიც უნდა გადაიჭრას. ეროვნულ დემოკრატიული პარტია მთავრობას ამ შემთხვევაში სავსებით გაჰყვება.

ვეშაპელი აღნიშნავს, რომ რადგანაც სომხებს იმედი დაეკარგათ ოსმალეთის საზღვრებში სომხეთის აღდგენისა, მათ განიზრახეს თფილისი დაიპყრან ჯერ ფაქტიურად და მერე ფორმალურათაც დააკანონ. მაგრამ საქართველოს შეუძლიან ღირსეული პასუხი გასცეს. ქართველმა ჯარმა ჯერ კიდევ ხუთი თვის წინად ნატანებთან დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან და უნარი აქვს ბრძოლის. ეხლა, როდესაც უფრო ჩამოყალიბებული ვართ, ჩვენ შეგვიძლიან იმედიანათ შევხედოთ მომავალსო.

ავეტისიანი. ჩვენი ფრაქცია სავსებით იზიარებს იმ ზომებს, რომელიც თქვენ მიიღეთ კონფლიქტის მშვიდობიან გზით მოგვარებისთვის. ყოველივე ბრალდება დაშნაკელების წინააღმდეგ სიმართლეს მოკლებულია; დაშნაკცუტუნი ოცდაათი წლის განმავლობაში ემსახურება სომხის ერს. პრესაში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ ის ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხალხთან.

ჩვენ გომართელი, შეგვეკითხა, რას აკეთებთო. აი რას ვაკეთებთ: ჩვენ იქ ვეხმარებით ჩვენს ერივანის მთავრობას, აქ კი თქვენს მთავრობას (სიცილია საერთო).

წარმოდგენილი იქნა სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია: მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკათა შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ, საქართველოს პარლამენტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ზომები სრულიათ აშკარათ ყოფს, რომ საქართველოს მთავრობას კეთილსინდისიერათ სურდა და სურს ამ კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულება და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა მიიღებს ყოველ საშუალებას, რათა თავიდან აიცდინოს საქართველოს და სომხეთის ერებს საშინელი ხიფათი სისხლის ღვრისა. ამასთანავე საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ იგი მომხრეა ყოველი სადაო საკითხის მშვიდობიანი საშუალებით გადაწყვეტის, მაგრამ იგი არავის ნებას არ მისცემს რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და ჩვენ თავისუფლებას საფრთხე მოუმზადოს.

ამიტომ პარლამენტი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ადასტურებს და გადადის მორიგ საკითხზე.

მიღებულია ერთხმად.

გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება.

ნ. რამიშვილი. დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენ ვილტვოდით და ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა ჩვენი დამოუკიდებლობა ეცნო ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს.

ჩვენ დღეს აქ გვაქვს საშუალება განვაცხადოთ, რომ შვეციის მთავრობამ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა (ტაში) და თანხმობა განაცხადა, რომ ქალაქ სტოკჰოლმში დაინიშნოს ჩვენი წარმომადგენელი.

შვეიცარიის წარმომადგენელმა გადასცა ნოტა ბერლინში ჩვენს წარმომადგენელ აკ. ჩხენკელს, რომ ისინი სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩხენკელმაც [illegible] ხა. (ტაში).

დ ანიის [illegible] მა განუცხადა ჩვენს წარმომადგენელს ბერლინში, რომ დანიის მთავრობა სცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას. (ცხარე ტაში).

ჩვენი წარმომადგენელი ჩხენკელი შეეცადა აგრეთვე მემორანდუმი გადაეცა ინგლის საფრანგეთის წარმომადგენლებისთვის. ეს მოხდა ნორვეგიის სატახტო ქალაქში. ამას ინგლის საფრანგეთის ელჩები თანაგრძნობით შეხვდენ და აღუთქვეს ჩვენს წარმომადგენელს, რომ ისინი ამ ნოტას გადასცემენ თავიანთ მთავრობას დადებითი დასკვნით, რათა მათაც იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა. (ტაში).

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა სხვანაირ პასუხს არ მოელოდა. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ერი გამოხატავს რა უფლებებს დამოუკიდებელი რესპუბლიკისა, გახდა სწორუფლებიანი წევრი საერთაშორისო ოჯახისა. (ხანგრძლივი ტაში, დეპუტატები, დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგებიან და მთავრობას ოვაციებს უმართავენ).

საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

ჩვენი თანამშრომელი გუშინ, 28 ოქტომბერს, ესაუბრა გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო განყოფილების თავმჯდომარეს პროფესორ ცუგმაიერს, რომელმაც უკანასკნელ ამბებზე შემდეგი სთქვა:

გერმანიის ჯარების საქართველოდან გაყვანის შესახებ.

პასუხი იმ დეპეშაზე, რომელიც გენ. ფონ კრესსმა გაუგზავნა ბერლინში, რომ გერმანული ჯარები საქართველოში ისევ დარჩენილიყვნენ, ჯერ არ მოსულა.

ამ ამბის გაგებისთანავე გენერალ ფონ-კრესსთან გამოცხადდა სხვადასხვა პირები და ჯგუფები თხოვნით, რომ ჯარები დარჩენილიყო. გენერალმა კიდევ გაგზავნა ორი დეპეშა, რომ ჯარები დარჩეს საქართველოში. საფიქრებელია, რომ გერმანიის უმაღლესი მთავრობა შესაძლებლად სცნობს ჯარების როგორმე ფორმით აქ დარჩენას. ყოველ შემთხვევაში, მზადება წასასვლელად ხდება. გზა შეიძლება დაიდვას რუმინიასა ან და უკრაინაზე.

ოსმალეთის შესახებ.

ცუდი ამინდის გამო დღეს რადიო არ მიგვიღია. რადიო არ მოსულა „ოსმანიესა“ და „ნაუმენის“ რადიო სადგურიდან. აშკარაა დეპეშების მიუღებლობის მიზეზი ბუნების ცუდი პირობებია, თორემ ოსმალეთში, რომ რაიმე მომხდარიყო „ნაუმენის“ (გერმანიის) რადიო სადგურიდან მაინც მივიღებდით. იყო ხმები და ზოგიერთ გაზეთებშიც სწერდენ, რომ შეთანხმების სახელმწიფოების ჯარებმა ჩატალჯა და სხვა აიღესო, მაგრამ ჩვენ გვაქვს დეპეშა 23 ამ თვის, საიდანაც სჩანს, რომ ფრაკიაში სიწყნარეა და არავითარი სამხედრო მოქმედება არ სწარმოებდა. თუ ჩატალჯა და სხვა აღებულია, მაშინ ამ დეპეშით უნდა უკვე მიგვეღო ცნობები იქ სამხედრო ოპერაციების დაწყების შესახებ. მესოპატამიაშიაც შედარებით სიწყნარეა, აშკარაა, თუ რამ საფრთხე ყოფილიყო, ამ დეპეშაში ნაჩვენები იქნებოდა.

ტყვე ქართველების დაბრუნება საქართველოში.

გერმანიიდან წამოვიდა 25 აფიცერი და 230 ქართველი ჯარისკაცი სამშობლოსკენ. ეხლა ისინი სევასტოპოლშიც იქნებიან და, ალბათ, ამ დღეებში ჩამოვლენ საქართველოში.

ლტოლვილების წაყვანის აკრძალვა.

ახალ განკარგულებამდე აკრძალულია გემებით გადაყვანა სხვადასხვა ეროვნების ლტოლვილთა, რომელნიც აქედან მიემგზავრებიან.

მე 9 სამხედრო სესხი გერმანიაში.

გერმანიაში გამოცხადდა მე 9 სამხედრო სესხზე ხელის მოწერა. ამას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა და ხელსაც ბევრი აწერს. ასე მაგალითად, კრუპპმა იყიდა 50 მილიონის ობლიგაციები, ერთმა სამეურნეო საზოგადოებამ 330 მილიონის და სხვ. სჩანს, სესხის საქმე ნაყოფიერად მიდის.

საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება

გენ. წულუკიძის დეპეშა.

სანაინიდან სამხედრო მინისტრს გენერალი წულუკიძე დეპეშით ატყობინებს: „26 ოქტომბერს ჩემის ბრძანებით ჯავშნიანი მატარებელი № 4-მა ზარბაზნები დაუშინა ბრბოებს, რომელთაც ეჭირათ ქარინჯის პირდაპირი მაღლობები და გაფანტა, ქარინჯის პირდაპირ მდგომ ჩვენ ჯარს ებრძანა ამ სოფლის დაჭერა. სროლაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა ჯარმა, რომელიც მე-118 ვერსზე იდგა.

როლის დროს დაიჭრა ჯავშნიან მატარებლის არტილერისტი ჯორჯენაძე— და ცხენოსანი ასეულის ჯარისკაცი გურჯალიანი.

დილის 7 საათზე და 30 წუთზე შესწყდა სამხედრო მოქმედება. მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ სომეხთა დელეგაციის ერთი ნაწილი კარაკლისში წავიდა, სადაც იმყოფებოდა სომეხთა რაზმის უფროსი დრო. ვინაიდან დრო ვათ იყო, ხიდთან ნეიტრალურ ნაწილზე მოვიდა პოლკოვნიკი კორელკოვი, რომელიც მეთაურობს სომხის ჯარს, ქვენის გზიდან კორინჯამდი. კორელკოვმა გამოგზავნა საჩქარო დეპეშის ასლი, 26 ოქტომბერს დროს მიერ ხელმოწერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ სოფელი კლორინჯი და წათირნი ჩაებარებიათ და შეეტყობინათ ქართველ ჯარის უფროსისათვის ამის შესახებ. ამ დეპეშის მიღების შემდეგ მე ბრძანება გავეცი ყოველივე მტრული მოქმედება შეეწყვიტათ ჩვენებს, დაეკავებიათ სოფელი კარინჯი და წათირნი, სადაც გავიგზავნე 15 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი. დანარჩენი ჯარის ნაწილებს ვუბრძანე შეგროვილიყვნენ სანაინში.

რომელი ხაზით წავიდა სომხის ნაწილი არ ვიცით, მაგრამ ვეცდები გავიგო. მოვალედ ვსთვლი თავს, შეგატყობინოთ ცხენოსანი ასეულის კორნეტი კორძაიას და ჯავშნიან მატარებლის მთელი შემადგენლობის, ხუხუნაიშვილის მეთაურობით, ვაჟკაცობის შესახებ“.

კაჩაზნუნის დეპეშა

26 ოქტომბერს, დილის 6 საათზე ერევნიდან სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრებს კაჩაზნუნი დეპეშით შემდეგს ატყობინებს: „თქვენი რადიო დეპეშის პასუხათ, რომელიც მივიღეთ 25 ოქტომბერს, 11 საათსა და 18 წუთს, დაჩქარებით გატყობინებთ: ვუბრძანეთ ჩვენს ჯარს, რომ დაიკავონ ის სადარაჯოები, რომელიც დასტოვეს ოსმალებმა. ბრძანება განმეორებულ იქნა. მოხდენილ იქნა განკარგულება დაეტოვებიათ კორინდჯი, წათირნი, რომელიც დაკავებულ იქნა გაუგებრობით და თავდაცვის მიზნით. კეთილ ინებეთ და თქვენის მხრით განკარგულება მოახდინეთ, რომ გამოწვეული უთანხმოება კონფლიქტას მშვიდობიანათ მოსაგვარებლათ, წინადადებას ვიძლევი საზღვარზე შესდგეს სომეხ ქართველთა კონფერენცია“.

ერთი რეზოლიუციის გამო

ჭინჭველს ღმერთი გაუწყრება,
მხრებში ფრთები ამოუვა,
ზეცას ასვლას მოინდომებს
სული გზაში ამოუვა.

ასე დაემართა საქართველოს გაბოლშევიკებულ „დერჟიმორდებს“. ლეჩხუმ-ოსეთის მთებში ამოუვიდათ უცხო ფრთები, ინგუშებში იპოვეს საფრენი მასალა და საქართველოს მოადგენ სოციალიზმის დაუყონებლივ განსახორციელებლად. წერა კითხვის უცოდინარი დუშეთის გლეხობა ჩაითრიეს დემაგოგიით, მაგრამ ზეცას ასვლის მაგიერ ხელში შერჩათ ის, რომ სული გზაში ამოუვიდათ.

თვით ოსმალეთის აგენტებმაც კი შესაფერ უშველეს მათ აგიტაციას. ოსმალეთის შემოსევის ხანაში ხალხის ღალატი და მტრისთვის ქვეყნის გადაცემა მოისურვეს, მაგრამ საქართველოს შეგნებულმა დემოკრატიამ მათი ყოველი დაუნდობელი მოქმედება, „სოციალისტური რევოლიუციის“ სახელით წარმოებული, სამარცხვინო ბოძზე გააკრეს, ხოლო მისი ჩამდენნი მეტეხის ციხეში მოამწყვდიეს.

კომუნისტების (ბოლშევიკების) მეორე რაიონს თფილისში აქამდეც გონებია, რომ იგი სოციალისტურ რევოლიუციას აწარმოებდა კავკასიის მთებში, სადაც ჯერ პირველ ყოფილი თემური წყობილებაც კი არ არის ხეირიანათ შერყეული, და საქართველოს დემოკრატიის ბელადს უკიჟინებს ბიუროკრატიულ ზომების მიღებას.

„ჩვენ ვართ მოწამენი უხეში თვითნებობის და ველური ძალმომრეობის იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც თავს დემოკრატიულათ უწოდებს და რომელსაც მეთაურობს „ძველი რევოლიუციონერი და მხცოვანი მეთაური პატრიოტისა“.

ამ ძალადობის შედეგი იყო შიმშილობის გამოცხადება პოლიტიკური ტუსაღებისაგან, რომელნიც აგერ ნახევარი წელიწადია დამწყვდეულნი არიან გამოუძიებლათ და დაუკითხავათ მხოლოდ იმიტომ, რომ იცავდენ იდეას პროლეტარიატის ბრძოლისას და სოციალურ რევოლიუციისას“.

არ გაგეცინება მკითხველო? ბუდუ მდივანი თურმე პროლეტარულ რევოლიუციას ახდენდა ხოლმე, როცა ოსმალეთის შემოსევის ხანა ურჩევდა ხალხს არ წასულიყო თავის ქვეყნის დასაცავათ. პროლეტარულ რევოლიუციას ემსახურებოდნენ მისი ამხანაგები, რომელნიც ოსმალეთის აგენტებთან ერთათ აჯანყებას უწყობდენ ზავის გამო ჩვენი ქვეყნის დარბევის ჯარს და წითელ გვარდიას, სადაც უკანასკნელნი ოსმალეთის ულტიმატუმს აკავებდენ.

უტიფრობას აქვს ყველგან საზღვარი. მაგრამ თფილისის მეორე რაიონის კომუნისტებისთვის საზღვარი არ არსებობს. მოღალატეები ქვეყნისა ყოფილან „ლიდერები მუშათა კლასის“.

უკაცრავათ, ბატონო პროტესტანტებო. ესენი არიან ლიდერები მოღალატეების, ხალხის გამყიდველების, მაგრამ არა პროლეტარიატის. საქართველოს პროლეტარიატმა მათ დიდი ხანია მიუჩინა შესაფერი ადგილი და მიაკრა შუბლზე შესაფერი დაღი „ქვეყნის სოციალიზმის“ „შემრცხვენლებისა“ ესაა დაღი „მოღალატის“, რომელსაც ვერაფრით ვერ ჩამოიშორებენ.

ერთი შენიშვნა კიდევ!. გვიკიჟინებთ სისასტიკეს იმაში, რომ ბოლშევიკები 6 თვეა სხედან ციხეში... მაგრამ თქვენ, რომელიც ყველა პარტიები, გარდა ბოლშევიკებისა, კანონს გარეშე გამოაცხადეთ და სისხლით მორწყეთ მთელი ქვეყანა, თქვენ ლაპარაკობთ ვისმეს უხეშ ძალაზე, ძალადობაზე და სხვა ამგვარებზე? ნუ თუ აუარებელი მსხვერპლი თქვენის ველურობის არ მოგაგონდათ მაინც როცა ასეთ სიტყვებს ჩმახავდით? თუ ადამიანურმა თვისებებმა თქვენში საბოლოოდ ამოიკვეთა ფეხი?

ხელი აიღეთ მაინც სოციალურ რევოლიუციის შერცხვენაზე და თქვენს ყაჩაღურ სოციალიზმს. ბოლშევიკური კომუნიზმი უწოდეთ. მაშინ ყველას ეცოდინება, ვინც ხართ და რასაც მოქმედებთ.

სოციალურ რევოლიუციის წმინდა სახელს კი თავი ანებეთ, ის თქვენი სისხლიანი ხელების წასაბილწავათ არ გახლავთ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია თფილისის სოც-დემ. მუშათა პარტიის კომიტეტის სხდომა.

◆ **სომხის ჯარების ხელმძღვანელი.** როგორც ბორჩალოდან იტყობინებიან, სომხის ჯარს ხელმძღვანელობს ცნობილი პოლკოვნიკი კარალკოვი, რომელიც ბელიკლიუჩში აჯანყებას აწყობდა. მას როგორც პროვოკატორს, ჩვენი მთავრობა დასაპატიმრად დაეძებდა.

◆ **დატუსაღება.** საგანგებო რაზმმა დააპატიმრა არუთინ ვანიანცი, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისათვის.

◆ **ჩხრეკა.** 26 ოქტომბერს საგანგებო რაზმის უფროსმა გაჩხრიკა ნოტარიუს კარაკაშის საწყობი და აღმოაჩინა სხვადასხვა მედიკამენტები და სააფთიაქო და ქირურგიული ინსტრუმენტები.

— 26 ოქტომბერს, საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწემ ფაჩულიამ გაჩხრიკა ექიმ ალექსიძეს ბინა და აღმოაჩინა სახაზინო მედიკამენტები და სააფთიაქო მასალა სულ 4 ყუთი.

◆ **გამოძიება.** თფილისის საოლქო სასამართლოს წევრმა ი. კობიაშვილმა იუსტიციის მინისტრს წარუდგინა მოხსენება აღბულაღისა და სოხუმის საქმეების გამოძიების შესახებ.

◆ **დეზერტირების შეპყრობა.** 25 ოქტომბერს თფილისის გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა 20 დეზერტირი ჯარის კაცები და გადასცა თფილისის სამხედრო უწყების უფროსის განკარგულებაში.

◆ **ერევანში გაემგზავრა** გუშინ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი.

◆ **შაქარი და ჩაი ლტოლვილებისათვის.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მისცეს საზოგადოებას 150 ფუთი შაქარი და 25 გირვანქა ჩაი ლტოლვილთათვის.

◆ **გვამი.** 27 ოქტომბერს პირველ ლაზარეთის ქუჩაზე იპოვეს ვინმე აბაზაშვილის გვამი.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ, წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ტ. რამიშვილის დრამა „მეზობლები“ დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **მეშვიდე გიმნაზიის** (ყოფილი სათავად-აზნაურო) დირექტორი იმ მოწაფეების საყურადღებოდ, რომელნიც ჯერ არ გამოცხადებულან გიმნაზიაში რაიმე მიზეზების გამო, აცხადებს, რომ უკანასკნელი ვადა გიმნაზიაში გამოცხადებისა არის შაბათი, 4 ნოემბერი; ვინც ამ ვადაზედ არ გამოცხადდება, გამორიცხულად ჩაითვლება.

◆ **მთავარი საბაჟო** აცხადებს, რომ 2 ნოემბერს დილის 10 საათზე, მთავარ საბაჟოს ეზოში, რომელიც მოთავსებულია ანდრეევის ქუჩაზე № 93, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით შემდეგი საქონელი: ღვინო, არაყი, ტყავი, გამხმარი ბოსტნეულობა, პაპიროსი, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო ლოლბანდი (მარლა) და სხვა წვრილმანი ნივთები.

◆ **ყარაიაზის დასახლებულთა პირთა საყურადღებოთ.** დღეს, 29 ღვინობისთვის მიემგზავრება პირველი ეშელონი ყარაიაზში დასასახლებელ პირთა, რომელთაც თან მიჰყვება მთავრობის რწმუნებული და მიწის მზომელი. სთხოვენ ყველა იმ პირთ, რომელნიც ჩაეწერნენ პირველ ეშელონისათვის აუცილებლათ გამოცხადდნენ სადგურზე ნაშუადღევის 2 საათზე. ახალი მსურველნი თუ აღმოჩნდებიან პირველ ეშელონისათვის, ჩაწერა შეიძლება სასახლეში № 38 ოთახი გ. კილოსანიასთან, დილის 12 საათამდის. ის პირნი რომლებიც ჩაწერილნი არიან და არ გამოცხადდნენ მათ მაგიერ გაიგზავნება ახალი ჩაწერილნი და ისინიკი დარჩებიან მეორე ეშელონისათვის, მეორე ეშელონი გაემგზავრება დაახლოვებით პარასკევს ან შაბათს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

27 ოქტომბერი.

კანცლერის სიტყვა.

(დასასრული)

თუ კი ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ საშინელ ომის მნიშვნელობა არის სამართლიანობის აზრის დათმობა და თუ ჩვენ ამას ზიზღით არ ვეპყრობით, მაშინ ჩვენ ამაში ვიპოვით თანამედროვე ჭრილობათა მალამოს და მომავალში სამოქმედო ასპარეზს. საერთო ინტერნაციონალურ საკითხის გადაჭრას გერმანიის ხალხი ისე სერიოზულათ და შეგნებულათ კიდებს ხელს, როგორც ჩვეულია ამას. ჩვენ უნდა მივსდიოთ გერმანელთ წინაპრების ორ უკანასკნელ შთამომავალთა კვალს და აქ ვიპოვით ზნეობრივ ძალას, რომელიც აუცილებელია ახალ განვითარებისთვის, თუ კაცობრიობის სურვილებს ჩვენ სურვილებათ მივიჩნევთ. ხალხთა შეკავშირება უდიდესი განმათავისუფლებელი მიზანია. მე მსურს გავიმეორო ის სიტყვები, რომელიც 19 თებერვალს წარმოვსთქვი: „საშინელ ომს არსებობისთვის ჯერ კიდევ მრავალი რამ გამოუკვლევი დარჩა ადამიანის ძალ ღონის სფეროში. ხალხთა სიკეთე და უფლება ჩვენ საკუთარ სურვილათ უნდა გავხადოთ“. ჩვენს ხალხს უთითებ ხალხთა კავშირის პრინციპზე, როგორც ერთათ ერთ მანუგეშებელ წყაროზე, იმ დროს მე ერთი წუთითაც არ მინდა დავფარო, რომ ამას ეწინააღმდეგება ძლიერი სახელმწიფოები. არავის არ შეუძლია იმის თქმა, თუ რამდენ ხანს გასტანს მათი სიძლიერე. დე, მოხდეს ის, რაც უნდა მოხდეს. თუ მახლობელ დღეებში, ან კვირაში ჩვენ გვაიძულეს დავიწყოთ ახალი ომი, ან ზავისკენ გზა გაიხსნება, ჩვენ ერთნაირათ მზათ ვიქნებით მივიღოთ ერთიცა და მეორეც, მაგრამ იმ აუცილებელ პირობით, რომ ახლანდელ მთავრობის პროგრამა გატარდება ცხოვრებაში და უარყოფენ წარსულის მოქმედებას“,

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი, 26 ოქტ. ჩვენი ჯარი დიდ სიმამაცეს იჩენს და ფრონტის მრავალ ნაწილში ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს.

კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის დაბლობზე, დეინის სამხრეთ ჩრდილოეთით, ლისსა და შელდის შუა მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა. სამხრეთ ფრთიდან, კორტრიკ-უდერნარდეს შუა რკინის გზასთან, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები, ჩვენი ხაზის წინ. ლისთან განსაკუთრებით კარგათ იბრძოდა გვარდიის 6 პოლკი მაიორ ნადოლნის წინამძღოლობით, სპიტალბოშენთან—40 საქსონიის დივიზია, და შელდთან 118 გესენის პოლკი მაიორ ვეირაუხს წინამძღოლობით. შელდის სამხრეთით, იმის შემდეგ რაც მოწინაღმდეგემ შესძლო მცირე ტერიტორიის დაჭერა, ჩვენმა ჯარმა მტრის წინსვლა შეაჩერა. ახალი ხაზი ონბოეგენის და აველგემის შუა, მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ. მტრის არტილერია მთელი დღის განმავლობაში ესროდა იმ ადგილს, რომელიც ჩვენი პოზიციის უკან მდებარეობდა და რომელიც ომისგან ჯერ არ დაზარალებულა. ეს ადგილები განადგურებულია უმთავრესათ მტრის ცეცხლისგან. ბელგიის მცხოვრებთა შორის მრავალია მოკლული და დაჭრილი. შელდსა და უაზას შუა გუშინ ინგლისელებს ძლიერი იერიში მოჰქონდათ. ფამარის სამხრეთით კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ მტერი და ვაიძულეთ ძველი პოზიციის დაჭერა. ლე-კესნუას სამხრეთ-დასავლეთით და ლანდერსის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენი პოზიციების წინ დავამარცხეთ მტრის იერიშები.

გერმანიის კრონპრინცის არმია. უაზასა და ენს შუა ფრანგებს 60 კილ. ფრონტზე ძლიერი იერიშები მოჰქონდათ. უმთავრესათ იერიში ჩვენს ხაზზე უაზსა და სერის შუა და აგრეთვე სისონის და ენს შუა მოიტანეს. მტერი შეეცადა სერის და სუშის სექტორის დაჭერას. უაზსა და სერის შუა მტრის იერიშები დავამარცხეთ, შუადღისას მტერი გამაგრდა ფილერ-ლე-სეკზე და აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე. დანარჩენ ფრონტზე მტერი დიდი ზარალით უკუვაქციეთ. სერის და სუშის სექტორში მტერმა შესძლო მოახლოვებოდა ჩვენს ხაზს მხოლოდ მორტიერთან, ფრუამონთან, ველნთან და პიერპონთან. გენერალ ბარონ ლუეტვიცის ჯარმა იერიშით აიღო თავისი ძველი პოზიციები ველსა და პიერპონთან. დანარჩენ ფრონტზე მტრის წინსვლა შევაჩერეთ. მდ. ენის დასავლეთით მტერმა იერიში მოიტანა ტანკების დახმარებით. სისონის აღმოსავლეთით და ლასელვის ორივე მხარეზე „ტანკების“ რაზმი გავფანტეთ. ლე-კონტის და ენის შუა მტერი დიდი ძალებით იერიშებს აწარმოებდა. ბანოგრას დასავლეთით მებრძოლ გვარდიის მეოთხე დივიზიის წინ გდია 23 განადგურებული „ტანკი“. მდ. ენის დასავლეთ მაღლობებზე მტერი შემოიჭრა ჩვენს პოზიციაში. მიუხედავათ იმისა, რომ მტერს დიდი ძალებით იერიში მოჰქონდა საქსონიის ტყესთან, ხერთის ჩრდილო დასავლეთით მან ვერ შესძლო წინ წამოწევა. მტერმა შესძლო მხოლოდ ჩვენი წინა ხაზების დაჭერა. ენის დაბლობზე, ამანდის სამხრეთ დასავლეთით, უმნიშვნელო ბრძოლებია. გრანდ პრეს ჩრდილოეთით მტერმა შეავიწროვა ჩვენი პოზიციები და გვაიძულა უკან დახევა. დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ბერლინი. 26 ოქ. გალვიცას არმია. მაასის ორივე მხარეზე ძლიერი ბრძოლაა. მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე საქსონიის რაზმებმა დაიჭირეს ამერიკელთა რამდენიმე სანგარი.

ჰერცოგ ალბერტის არმია. სელის სამხრეთით ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს. წამოვიყვანეთ ტყვეები.

პარიზი. 26 ოქტ. ჩვენმა ჯარმა დღეს... (დამახინჯებულია). უაზსა და სერის შუა, მიუხედავათ იმისა, რომ მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა, ჩვენმა ჯარმა შესძლო მისი უკან დახევა. ჩვენ ავიღეთ პლეინ-სერიეი, პარტეილი, შესტრ ლე დამი და შევიჭრით პლეინ სერვის ჩრდილოეთით კურჟუშელამდე წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. სისონის და შატო-პორსიენის შუა გერმანელები ცდილობდენ დაკარგულ პოზიციათა დაბრუნებას. გერმანიის ძლიერი კონტრ-იერიშები ბანონის სამხრეთით და მულენ ღეპრთან ჩვენმა ჯარმა მოიგერია. ამ უბანში ტყვეთ ჩაგვივარდა 2300 ჯარის კაცი და რამდენიმე ასი ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე ღირს აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

ამერიკის სამხედრო ცნობა. 26 ოქტ. ვერდენის ჩრდილოეთით ბურგონის ტყეში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ბანტევილის ოლქში და მეფფის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ც. აღ. კომ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. 26 ოქტომბრიდან ურალის ფრონტი. საბჭოთა ჯარი ურალის ფრონტზე იმარჯვებს. დამარცხდა თეთრ-გვარდიელთა 3 პოლკი, ხელთ იგდეს 20 ტყვიისმფრქვეველი, 40 თოფი, სურსათი, 100 მდი ტყვე და შტაბის საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ მოწინაღმდეგის ჯარი სუსტდება და ირღვევა. ეკატერინობურგში და სხვა ქალაქებში ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება. მცხოვრებნი მოუთმენლად ელიან საბჭოთა მთავრობის დაბრუნებას. ჩრდილოეთის ფრონტიდან ცნობაა, რომ მოკავშირეთა ბრბო იქ თავისუფლად თარეშობს. მცხოვრებთა დამოკიდებულება ფრანგებთან და ინგლისელებთან თანდათან მწვავდება. მოახდინეს სურსათის რეკვიზიცია. სასყიდელს არ აძლევენ. ურიგებენ მხოლოდ სარეკვიზიციო კვიტანციებს, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. **სტავროპოლი.** 23 ოქტ. ოსმალები საჩქაროდ ბათუმს სცლიან. **პეტერბურგი.** 23 ოქტ. გუშინ პეტერბურგში ჩამოვიდენ ინგლისში მყოფნი რუსეთის საბჭოს საელჩოს წევრები. საელჩოს მდივანი პაკროვსკი ადასტურებს რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას ინგლისის მუშებში. **ბერნი.** 25 ოქტ. ჰუნგრეთის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, რომ 19 ქვეითი პოლკის აჯანყებული ჯარი შეიჭრა გონვედების ყაზარმებში და იარაღი ახადა იქ მდგომ ჯარს. აჯანყებულებმა დაიჭირეს ქალაქის ნაწილი. მთავრობის წარმომადგენელნი დაატყვევეს. სადგური აჯანყებულთა ხელშია. რკინის გზა განადგურებულია. სხდომა შესწყდა. ოპოზიციამ გამოიტანა დადგენილება მთავრობის გადადგომის შესახებ. **ბუდაპეშტი.** 25 ოქტ. მინისტრთა თავმჯდომარე ვეკერლე მთელი კაბინეტით გადადგა. **ვენა.** 25 ოქტ. გერმანიის ელჩმა განაცხადა, რომ გერმანია დაიცავს გერმანიის ავსტრიას და მიაწოდებს პურს და კარტოფილს, რომლის გზავნა უნგრეთმა შეუწყვიტა. **პეტერბურგი.** 25 ოქტ. გერმანიის ოფიციალური ცნობა. ვილნოში პოლონელების ნაციონალურ დღესასწაულზე მღელვარება მოხდა. ხალხსა და პოლიციის შორის შეტაკება იყო. გერმანიის მთავრობის უკმაყოფილონი შეეცადნენ მანიფესტაციის გამართვას. პოლიცია ვერ გაუმკლავდა ხალხს. გამოიწვიეს ჯარი, ჯარმა ხალხს ესროლა. მოკვდა რამდენიმე ათეული. დაჭრილთა რიცხვი დიდია. **მოსკოვი.** 26 ოქტ. პეტროგრადში დაჭერილი პროვოკატორი მალინოვსკი მოსკოვში ჩამოიყვანეს. **ბალაშოვი.** 25 ოქტ. რევოლიუციონურ ტრიბუნალის დადგენილებით 5 არმიის უნტეროფიცერთა აჯანყების მომწყობი 20 ჯარისკაცი დახვრიტეს. უკანასკნელი ცნობები ტაშკენტიდან. ასხაბადის ფრონტი. 18—23 ოქტ. დამარცხების შემდეგ მტერი აღარ გამოჩენილა. ორენბურგის ფრონტი. ცვლილება არ მომხდარა. **ტაშკენტი.** 26 ოქტ. მერვის საბჭომ უარჰყო მშვიდობიანათ შეთანხმების ცდა. ასხაბადის ფრონტზე ბურჟუაზიის და ინგლისის იმპერიალისტურ ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაა.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 27 ოქტ. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. მტერი განაგრძობს ჩვენი ფრონტის უკან მდებარე ბელგიის ადგილების განადგურებას. მცხოვრებთა უმრავლესობა, რომელიც ოტიკენზე და გომგემზე ყუმბარების დაშენის დროს ცდილობდა თავი დაეფარა სარდაფებში, დაიღუპა. შელდის სამხრეთით, ვამტრის და პიტრის შუა მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. მტერმა შესძლო ენელ ფონტენსა და ხევში შემოჭრა. კონტრ იერიშით მტერი ხევიდან განვდევნეთ.

გერმანიის კრონპრინცის არმია. უაზიდან ენამდე ფრანგები იერიშებს განაგრძობენ. ორინის ორივე მხარეზე მტერი მოვიგერიეთ ჩვენი ხაზების წინ. მტერი, რომელმაც შესძლო პლეინ სელვთან ჩვენს პოზიციებში შემოჭრა, შევაჩერეთ ამ დაბის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მაღლობზე. მტერი შეეცადა სამხრეთით დაერღვია ჩვენი პოზიციები უაზთან, მაგრამ დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. ორინი და მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მაღლობები, სადაც მტერს დიდი ძალებით და ტანკებით იერიში მოჰქონდა, ჩვენ ადგილები შევინარჩუნეთ. მტრის ტანკები გავანადგურეთ. სერის სექტორში მორტიერის მხრიდან მტრის იერიშები შევაჩერეთ ჩვენი ხაზის წინ. სუშის სექტორში ფრუამონსა და პიერპონის შუა პოზნანის და ვიურტემბურგის პოლკებმა მტრის ძლიერი იერიშები მოიგერია. სისონის ორივე მხარეზე მტრის ქვეითი ჯარს არ უმოქმედია. მდინარე ენის დასავლეთ მაღლობებზე საქსონის ტყეში, ჩვენ კონტრ-იერიშებით შევეგებეთ მტერს, რომელიც ნიზილე-კონტის და ენის შუა იერიშებს აწარმოებდა. მტერს დიდი ზარალი მიაყენა ჩვენმა არტილერიამ. აქ და ბარონის დასავლეთით მტერი დავამარცხეთ. მდ. ენის დასავლეთით მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა, რომელიც ჩვენს სასარგებლოთ დასრულდა. ბრძოლა დასრულდა ბაგონშატო პორსიესის გზაზე.

გერმანიის პრესის ცნობა.

რეიხსტაგის 23 ოქტ. სხდომაზე კანცლერის სიტყვის შემდეგ, რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა მთავრობას 193 ხმით 52 წინააღმდეგ. 23—თავი შეიკავა. წინააღმდეგი იყვნენ კონსერვატორები და დამოუკიდებელნი. თავი შეიკავეს პოლონელებმა, მეორედ განხილვის შემდეგ მიიღეს საკონსტიტუციო ცვლილებანი უმრავლესობის პარტიის დამატებებით. კანონის ძალით მომავალში ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა უნდა მოხდეს რეიხსტაგის და საკავშირო საბჭოს თანხმობით. ასეთივე ცვლილება შეიტანეს საკანონმდებლო სფეროში.

საქსონიის პარლამენტში.

გერმანიის რადიოს ცნობა. 27 ოქტ. უმრავლესობის პარტიათა თათბირის შემდეგ, საქსონიის პარლამენტში, სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც დანარჩენი პარტიებიც მიემხრენ, განაცხადეს, რომ მათ სურთ ახალ მთავრობასთან მუშაობა. შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი ვიტსტუმი ალბათ თანამდებობიდან გადადგება. მინისტრები ბელკი და ზეიდევიცი უკვე გადადგნენ.

ხმელთაშუა ზღვაში.

ოფიციალური ცნობაა, რომ ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩაძირეს მტრის 42,000 წყალწყვის გემები. რამოდენიმე ყუმბარით დააზიანეს აგრეთვე წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი გემი. ერთ გემს, ვიდრე ნაღმი მოხვდებოდა, ცეცხლი გაუჩნდა, აფეთქდა და ჰაერში ავარდა. ნავების და ტრანსპორტის მიმოსვლა ეგეის ზღვაში და ტუნისსა და იტალიის შუა შეჩერებულია.

გერმანიის რეიხსტაგში.

თავის უკანასკნელ სხდომაზე, შაბათს, რეიხსტაგმა ხმის უმრავლესობით მიიღო მთავრობის წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ და აგრეთვე უმრავლესობის დამატებით შესწორებანი. წინააღმდეგ წავიდა კონსერვატორები და გერმანიის ფრაქციის რამოდენიმე წევრი. დამოუკიდებელ სოციალდემოკრატებმა შემოიტანეს წინადადება: კონსტიტუცია ავალებს რეიხს-კანცლერს წელიწადში ერთხელ მაინც წერილობითი მოხსენება გააკეთოს გერმანიის სახელმწიფოს და მის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. და თუ რეიხსტაგმა მოითხოვა [illegible] საბუთები. წინადადება [illegible] რომელიც [illegible]

გენ. ლიუდენდორფი.

თანახმად თხოვნისა, გერმანიის იმპერატორმა გაანთავისუფლა თანამდებობიდან გენერალ-კვარტირმეისტრი ლიუდენდორფი და უბრძანა ქვედა რეინის პოლკს № 39, რომლის უფროსათ დიდ ხანს იყო ლიუდენდორფი, გენერალ ლიუდენდორფის პოლკის სახელწოდება ატაროს.

ვილსონის მოწოდება.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ვილსონმა მოწოდებით მიმართა ხალხს, რომელშიაც წინადადებას აძლევს მცხოვრებთ ნოემბრის არჩევნებში დემოკრატიულ პარტიას მისცენ ხმა.

დროებითი ზავის საკითხი.

პრეზიდენტ ვილსონის მოადგილე, პოლკოვნიკი ჰაუსი და ადმირალი ნადსონი, გერმანიასთან დროებით ზავის საკითხის გადაწყვეტის დროს და საზავო მოლაპარაკების დაწყებისას, შეერთებულ შტატების წარმომადგენლებათ ინიშნებიან.

პოლონეთის ებრაელები.

პოლონეთის ებრაელები უკმაყოფილო არიან პოლონეთის მთავრობით, რომელმაც ებრაელთა ვარშავის სათემოს არჩევნები მოხსნა. თემის მიზანი იყო ებრაელთა ნაციონალური წარმომადგენლობის დაარსება. გერმანიის სამმართველომ უარი განუცხადა პოლონელებს არჩევნების მოხსნაზე. მიუხედავათ ამისა პოლონეთის მთავრობამ თავისი გაიტანა და აიძულა ებრაელთა თემის სამართველო, რომელიც შესდგება პოლონელთა ერთგულ მცირე რიცხოვან მდიდარ ებრაელთაგან და რომელიც არჩეულია რუსეთის ძველი რეჟიმის საშუალო საკურიის არჩევნების უფლებათა საფუძველზე, მოეხსნა არჩევნები. პოლონელ ებრაელთა აზრით პოლონეთის მთავრობა ცდილობს ამით წინ აღუდგეს ებრაელთა კანონიერ წარმომადგენლობის დაარსებას, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაში შეეძლო ყოფილ ყო ებრაელთა ინტერესების წარმომადგენელი. ამ ნიადაგზე ვარშავაში დიდი საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა.

ავსტრიაში.

ვენის გაზეთების ცნობით, ლამაში, რომელსაც როგორც ვენის პარლამენტის წრეებში ამბობენ, ავსტრიის იმპერატორის მიერ დავალებული აქვს შეადგინოს ახალი კაბინეტი, ფიქრობს შექმნას ეგრეთ წოდებული სალიკვიდაციო სამინისტრო უპარტიო, რომლის პროგრამა უნდა იყოს საჩქარო ზავის მიღწევა, ცენტრალურ მთავრობის საქმეთა გადაცემა ნაციონალურ მთავრობისადმი და აგრეთვე საერთო ინტერესების დაცვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შეცვლის დროს. ლამაში ფიქრობს სამინისტროში მოიწვიოს ყველა ახლანდელი მინისტრი ორის გარდა.

ომი და ზავი

ხალხთა კავშირი.

27 სექტემბერს, როდესაც გაიხსნა ხელისმოწერა მეოთხე თავისუფლების სესხზე, პრეზიდენტმა ვილსონმა ნიუიორკში წარმოსთქვა სიტყვა, სადაც ის აზრი გამოსთქვა, რომ 4 წლის ომის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოების კერძო მისწრაფებებმა ალაგი დაუთმეს მთელი კაცობრიობის მიზნებსა და მისწრაფებებს. ეს ომი გადაიქცა საერთაშორისო სახალხო ომად. მოკავშირეები იმ აზრს ადგანან, რომ ზავის ჩამოგდება შეუძლებელია იყვეს, როგორც შედეგი ცენტრალურ სახელმწიფოებთან ბრძოლისა. აუცილებლად საჭიროა შეიქმნას ხალხთა კავშირი, საერთო ხელშეკრულებაზე დამყარებული. მისი შექმნა და პრინციპების გამომუშავება შეადგენს სამშვიდობო კონფერენციის მთავარ საზრუნავ საგანს. შეერთებული შტატები მზადაა თავს იდვას იმ ხელშეკრულობის პასუხისმგებლობა, რომელზედაც დამყარებული იქნება მომავალი ზავი (უ. დ. ს.).

რუსეთის ცხოვრება

მძევლების აჯანყება.

ხარკოვიდან ცნობაა, რომ აჯანყდენ ბურჟუაზიის მძევლები, რადგანაც ვერ აიტანეს ის პირობები, რომლებშიაც ისინი იყვენ ჩაყენებული. ამის გამო დახვრიტეს 100 კაცი, დანარჩენებისთვის კი შემოიღეს სასტიკი რეჟიმი.

ლენინის გამემარჯვენება.

„კიევსკაია მისლი“ აღნიშნავს, რომ ლენინი დღეს მრეწველობის მოსარჩლედ გამოდის რუსეთში. იგი ილაშქრებს მუშების სხვადასხვა „მომატების“ და „მოთხოვნების“ წინააღმდეგ და ურჩევს მათ დაიცვან მრეწველობა და უარჰყონ ისეთი მოთხოვნილებანი, რომლებითაც მრეწველობა ვერ აიტანს და დაიღუპება.

სამღვდელოების გაბოლშევიკება.

რუსეთის სხვადასხვა გაზეთები იუწ-

ყებიან, რომ რუსეთში ხდება სამღვდელოების გაბოლშევიკება.

ნიკოლოზ მე-II მანიფესტი. ქ. ორიოლიდან იტყობინებიან, რომ მონარქისტული საზოგადოება სახელად „რომანოვების დინასტიის აღდგენისა“ უშვებს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში პროკლამაციებს ამ სათაურით: „ნიკოლოზ მე II მანიფესტი“, სადაც მოუწოდებს „მართლმორწმუნეთ“ იბრძოლონ მეფისთვის. მოწოდებებში აღნიშნულია, რომ მალე მეფე მოსკოვში იქნება.

სამხედრო ბეითალთა მეოთხე ყრილობა

სამხედრო ბეითალთა ყრილობის შესახებ, რომელიც მოხდა 17—18—19 ენკენისთვეს, რამდენიმე წერილი იყო მოთავსებული „შრომაში“ (24 ენკენისთვე), „საქართველოში“, მაგრამ სისწორით არ იყო გადმოცემული ყრილობის ამბავი და ამიტომ მე მსურს კვლავ შევეხო ამ საგანს. ყრილობის საგნათ შეიქმნა არა მართლა ზოგიერთ საჭირბოროტო კითხვების გამორკვევა, არამედ—ბრძოლა სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსთან—ექიმ ქვიტაშვილთან, რომელიც ასე ძლიერ ეჩხირებოდა თვალში კვიტაიშვილის თანაშემწეს ექიმ ფარეიშვილს.

პირველი ორი დღე ყრილობამ სწორეთ კვიტაშვილის გაშავებას მოანდომა, მესამე დღეს კი შეეხო იმ კითხვებს, რომელზედაც არა ერთხელ ჰქონდათ ჩვენს ექიმებს კრებები—(იხილეთ განაჩენი მე III ყრილობისა—5 [illegible]), რომ ამით მიეცათ როგორმე ყრილობისათვის სპეციალური ხასიათი, ესე იგი ვითომც და შეიკრიბნენ არა მართლა კვიტაიშვილის საწინააღმდეგოთ, არამედ—გამოსარკვევათ ზოგიერთ კითხვებისა და ამ გვარათ თავი ემართლებინათ სამინისტროს წინაშე.

ერთი სიტყვით, ბ. ფარეიშვილი სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე დაეცა ძირს ბ. კვიტაიშვილი-ტულუშისა და ქუთათელაძის შეწევნობით და მართლაც, იშოვნა რაღაც საბუთები კვიტაიშვილის წინაღმდეგ, მაგრამ განა თვითონ ბ. ფარეიშვილი გამოვიდა სუფთად ამ საქმიდან? ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან შემდეგ საბუთებს და ვნახოთ, როგორ გაიმართლებს თავს ამის შესახებ ბ. ფარეიშვილი?..

პირველათ, თანაშემწემ სამხედრო საბეითლო განყოფილებისა ბ. ფარეიშვილმა უფროსის კვიტაიშვილის დაუკითხავათ და ნების დაურთველათ წარუდგინა მოხსენება სამხედრო სამინისტროს და მასთანვე სთხოვა ამას ნება დაერთო ყრილობის მოწვევაზე, ვითომც გასარჩევათ და გამოსარკვევათ ზოგიერთ სპეციალური ხასიათის კითხვებისა, რაზედაც მართლა მიიღო დასტური, მაგრამ როგორც გამოირკვა, ეს ყრილობა იყო მიმართული არა ამ კითხვების გასარჩევათ, არამედ ბ. კვიტაიშვილის ძირის გამოსათხრელათ და ამ გვარათ შეიყვანა შეცდომაში არა მარტო სამინისტრო, არამედ—თვით კვიტაიშვილიც, რომელმაც ეს ამბავი (ყრილობაზე) გაიგო მხოლოდ ამ დღეს, როდესაც ყრილობა ხდებოდა.

მეორეთ, ფარეიშვილმა შეიყვანა შეცდომაში აგრეთვე ექიმები ადგილების განაწილებაშიც. ყრილობის დახურვის წინ 19 ენკენისთვეს მან განაცხადა, რომ ადგილები გავანაწილე ისე, როგორც თვით ექიმებს სურდათო, და მართლაც წაუკითხა სია ადგილების განაწილებისა, რომელიც მართლაც მოეწონათ და მადლობაც გადაუხადეს მას, მაგრამ გამოვიდა სულ სხვა: თურმე ნუ იტყვით ბ. ფარეიშვილს ეს სია ზოგიერთ ექიმების თვალის ასახვევათ ჰქონდა დამზადებული, ნამდვილი სია განაწილებისა, რომელიც სამინისტროში უკვე დაემტკიცებინა 16 ენკენისთვის თარიღით, გამოდგა სულ სხვაგვარათ შედგენილი.

მესამედ, ფარეიშვილმა უფროსის კვიტაშვილის დაუკითხავად დაითხოვა ადგილებიდან ისეთი გამოცდილი ექიმები, როგორიც იყვნენ გურგენიძე, სანიკიძე და სხვები. მიზეზად იმას ასახელებდა ბ. ფარეიშვილი, რომ ეს ექიმები იყვნენ ომის დროს დროებით გაწვეულნი სამხედრო სამსახურში სამოქალაქო სამსახურიდან; ომის მოსპობის გამო, რა თქმა უნდა, უნდა წავიდნენ სამხედრო სამსახურიდანაო და იმისთვის დავითხოვეო, თუმცა ყველა მათგანმა 4 ნ. ხ. წელზე მეტი დაჰყო სამხედრო სამსახურში, მაგრამ იმავე დროს იგი იღებს იმავე სამოქალაქო სამსახურიდან მათ მაგიერ გამოუცდელ ახალგაზდა ექიმებს, რომელთაც არც ერთი დღე არ უმსახურნიათ სამხედრო სამსახურში, მაგალითად ბურჯანაძეს, ქორქიას და სხვებს. არ ვიცი ბ. ფარეიშვილი ამის შესახებ რა გასამართლებელ საბუთებს წარმოადგენს? ან კიდევ რა მოსაზრებით სარგებლობდა იგი, როდესაც ძველს და გამოცდილს ექიმებს ითხოვდა და მათ მაგიერ იწვევდა ახალგაზდა გამოუცდელ ექიმებს?

მეოთხედ, ექიმმა ფარეიშვილმა უფროსი ექიმი მეგრელიძე გადაიყვანა მე-II არტილერიის ბრიგადიდგან I ცხენოსან პოლკში და მის ადგილზე წამოსწია ცნობილი „ზურიად-ექიმი“ ტულუში. ექიმი მეგრელიძე, სთხოვა ფარეიშვილს, დამარჩინე ისევ ძველ ადგილზეო და I ცხენოსან პოლკში კი ტულუში გადაიყვანეო, თუ ეს არ მოხერხდება, მაშ ჩემზე უმცროსის ადგილზე მაინც დამტოვე ამ ბრიგადაშიო, მაგრამ ფარეიშვილმა არ შეისმინა ეს (ან ტულუშს როგორ აწყენინებდა) და ამის მიზეზად პირველად იმას ასახელებდა, ვითომც მეგრელიძეს უთანხმოება მოსვლოდა ბრიგადაში უფროსთან, და მეორედ, ყველა ექიმები გადავიყვან-გადმოვიყვანე ახალ ადგილებზეო, მაგრამ გამოირკვა სულ სხვა, არაფერი უთანხმოება აგრეთვე მეგრელიძეს ბრიგადაში არ მოსვლია, პირიქით თვითონ უფროსი ბრიგადისა სთხოვდა საბეითლო განყოფილების უფროსს, დაეტოვებინათ მეგრელიძე მე-II ბრიგადაში, როგორც გამოცდილი და საჭირო ექიმი. და სადაც მართლა მოხდა უთანხმოება, ესე იგი I არტილერიის ბრიგადაში, თვით უფროსი სთხოვდა საბეითლო განყოფილებაში გადაეყვანათ ყველა ექიმების მისი ბრიგადიდგან, თორემ ჩემის ნებით დავითხოვო. ისინი კი პირიქით ფარეიშვილმა ისევ იქ დასტოვა.

მეშვიდედ, პირველ ექიმების ყრილობაზე, რომელიც მოხდა 15 იანვარს, ამ წელს, იყო დადგენილება, რომელსაც ყველა ექიმები დაამოწმებენ, თუნდაც განაჩენში არ იყოს შეტანილი, რომ უფროსის ადგილები არ მიეცათ არა ქართველებისთვის, მაგრამ აქ ბ. ფარეიშვილმა, რაღაც მოსაზრებით უფროსის ადგილზე გაამწესა უცხოელი ექიმი როდიგერი, ეს როგორც გამოირკვა, იმიტომ დანიშნა, რომ სამხედრო სამინისტროს არ სწყენოდა.

აი რამდენი უმართლობა ჩაიდინა ბ. ფარეიშვილმა თავის სამსახურის დროს, თავის დამქაშების ტულუშის და ქუთათელაძის წყალობით და მე მგონია, სამხედრო სამინისტრო ამას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და უნიშვნელოდ არ დასტოვებს მის მოქმედებას.

ქ.—ვ.—

სამხედრო სავეტერინარო განყოფილებაში

სამხედრო მინისტრის ნებართვით იყო მოწვეული სამხედრო ვეტერინარების ყრილობა 16 ენკენისთვეს, სხვადასხვა სპეციალურ საკითხების განსახილველათ.

ამ ყრილობაზე ბ. ფასიშვილის მოხსენებიდან გამოირკვა სხვათაშორის ზოგიერთი უკანონო მოქმედებანი ბ. ა. ქ—შვილისა.

ბ. ქ—შვილი 24 აგვისტოს თარიღით [illegible] სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსს მოქ. ჩიქოვანს, რომ სამხედრო სავეტერინარო განყოფილებას არც ერთი ცხენი არა ჰყავს თვით განკარგულებაში და წინასწარ კი, 20 აგვისტოს თარიღით, ვიღაცა კერძო პირებს—ჩერეშოვს და არუთინ ამირიძეს, აძლევს ყალბ დოკუმენტებს, რომ ის ცხენები, რომლებზედაც იგინი მუშაობენ, ვითომ და შეადგენდნენ სამხედრო სავეტერინარო განყოფილების კუთვნილებას და, როგორც ასეთნი, მობილიზაციისაგან, რომელიც 29 აგვისტოს მოხდა წითელ გვარდიისათვის, განთავისუფლებულნი იქნენ.

ყრილობამ დაადგინა: „ვინაიდან სამხედრო სავეტერინარო განყოფილების უფროსმა თავისი ბოროტ მოქმედებით ჩირქი მოსცხო და შეულახა პატიოსანი სახელი ვეტერინარული ექიმისა, განდევნილ იქნას იგი სამხედრო ვეტერინარულ ექიმთა კორპორაციისაგან და სთხოვოს სამხედრო მინისტრს დაუყოვნებლივ გადააყენოს ბ. ავთანდილ კვიტაშვილი სამსახურიდან, და ეს დადგენილება ეცნობოს სამოქალაქო ვეტერინარულ კორპორაციას“. ეს ეცნობა სამხედრო მინისტრს, რომელმაც დანიშნა გამოძიება.

მაგრამ აგერ ერთი თვე გავიდა ყრილობის შემდეგ და კვიტაშვილი კი ისევ უფროსობს სამხედრო სავეტერინარო განყოფილებაში.

მთელი სამხედრო ვეტერინარების კორპორაცია იძულებულია იყოს ყალბი დოკუმენტების ფაბრიკანტის ხელთ ქვეშ და ასრულოს მისი ბრძანება და როდის დაფასდება (ან დაფასდება კი როდისმე?) კანონის მიერ მისი ბოროტ მოქმედება, არ ვიცით.

ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება უფრო ადრე მიიღოს ბოლო ამ გაუგონებელ საქმეს, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენს მუშაობაში და სამხედრო სავეტერინარო საქმეს მეტის მეტათ აბრკოლებს.

სოლომონ ტულუში.

მეთამბაქოეთა ყრილობა

23 ოქტომბერს ქ. თფილისში მოხდა საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობა, წარმომადგენლები გამოცხადდნენ ზუგდიდიდან, ქიზიყიდან, გურიიდან და ლაგოდეხიდან.

ყრილობამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) ბიუროს მოხსენება, 2) მოხსენება რაიონებიდან, 3) ფასების გამომუშავება 4) ბაზრის გამონახვა, 5) საპროცენტო განაზღვრა მეთამბაქოეთათვის, 6) ხელმძღვანელისათვის დღიური ხარჯების დანიშვნა და 7) ბიუროსათვის პროცენტების გადადება.

ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბიუროს წარმომადგენელმა, საიდანაც გამოირკვა, თუ რა ზომებიც მიიღო ბიურომ თამბაქოს გაყიდვისათვის, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის გამო დღემდის შეუძლებელი გამხდარა გაყიდვა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მეთამბაქოენი თამბაქოს გაუყიდაობით დიდ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მაინც იმედით შესცქერიან კავშირს და მისგან მოელიან ხსნას.

გამოირკვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არის გასასყიდი 800,000 ფუთი თამბაქო, რომელსაც ბაზარი უნდა მოენახა საქართველოს გარეთ. ბიუროს უშოვნია ისეთი პირებიც, რომლებიც თამბაქოს გაიტანენ შემდეგ პირობებში: 1) გადაიხდიან მთავრობის მიერ დაწესებულ საექსპორტო გადასახადს ფუთზე 20 მანეთს, 2) მოუძებნენ შეძლების და გვარად სახვევ ტილოს და ამასთანავე კისრულობენ ყოველგვარ ამ საგანზედ გადასატან თუ სხვა გამოწვეულ ხარჯებს. 4) ფასებს წინასწარ უსაზღვრავენ მეთამბაქოებს და შემდეგ მოსაგებიდან აძლევენ წილს. მოიწონა რა ყრილობამ შექმნილ პირობებში ასეთი ოპერაცია, დაადგინა: იმ ორასი ათასი ფუთიდან, რომლის ნებართვა მთავრობამ მისცა ბიუროს, დროებით იქნეს გამორთმეული რამოდენიმე ათასი ფუთის ნებართვა, რომელიც დაჩქარებით უნდა იქნეს გატანილი საზღვარ-გარეთ,—აგრეთვე იქონიონ თან ყველა საქართველოს კუთხეებიდან თამბაქოს ნიმუშები, დაიჭირონ კავშირი საზღვარ-გარეთელ მყიდველებთან. ყრილობის აზრით, ეს ერთად-ერთი საშუალება იქნება, რომელიც გახსნის საქართველოში თამბაქოს ბაზარს და საშუალება წაერთმევა ჩარჩებს სამონოპოლიოთ გახადონ თამბაქ. ყიდვა საქართველოში, პირველათ მიეცემათ წინადადება გერმანელებს, იყიდონ თამბაქო; თუ გერმანელები ვერ იყიდიან, იმ შემთხვევაში ყრილობა ავალებს ბიუროს შეუდგეს თამბაქოს გატანას საზღვარ-გარეთ.

რაც შეეხება ფასების დადებას წინასწარ თამბაქოზე, ეს ყრილობამ შეუძლებლად მიაჩნია. ფასების დადება მიანდვეს ბიუროს მეთამბაქოებთან შეთანხმებით, საპროცენტო გადასახადების განსაზღვრა დაევალა შეიმუშაოს ბიურომ წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ბიუროს ხელმძღვანელისათვის ხარჯების განსაზღვრა მიენდო თვით ბიუროს. დასასრულ ყრილობამ დაადგინა: რადგანაც თამბაქოს რეალიზაციის მოწყობა და დამთავრება საქართველოში მეტად სერიოზულ მუშაობას და დროს მოითხოვს, ამიტომ დაევალა ყველა წარმომადგენლებს აუხსნან ხალხს საქმის სიმძიმე და შექმნილი მდგომარეობა, მოუწოდონ მათ, რომ არ აყვნენ ჩარჩებს, და პროვოკატორებს, რომლებიც აგიტაციას ეწევიან კავშირის წინააღმდეგ, შეუწყონ ხელი ბიუროს საქმის კეთილად დამთავრებაში.

X.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. მე-3 რაიონის პარტ. წევრ. შემადგენლობა ეროვნების და პროფესიის მხრით: ქართველები 851, რუსები 45, სომხები 525, ებრაელები 7, თათრები 20. სულ ირიცხება 1448 წევრი. პროფესია: მუშა 634, ჯარის კაცი 74, სხვადასხვა დარგის მოხელეები 590, ვაჭარი 138, სახლის პატრონი 12.

X.

თფილისი. 24 ოქტ. შესდგა მეორე რაიონის ს. დ. მ. პარტიის კოლექტივის კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენებები, საზოგადო კრების მოწვევა, კანდიდატების სიის გამომუშავება კოლექტივში, ყრილობაზე და თფ. კომიტეტში. როგორც თფ. კომ. წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, ამ ბოლო ხანებში მილიციაში თავს იყრიან არა სასურველი ელემენტები, მიღებული ყოფილა ზომები ამ ელემენტების თავიდან ასაცილებლათ. კომიტეტს დაუდგენია, ყველა რაიონებმა საერთო შემოსავლიდან გადაიხადონ 25 პროც. კომ. სასარგებლოთ. ქალთა ორგანიზაციების შესახებ კომ. სურვილი გამოუთქვამს, რომ ქალთა ორგანიზ. შეძლების და გვარათ შემოუერთდნენ უკვე თფილ. არსებულ სოც.-დემ. ორგანიზაციებს. კოლ. მდივნების შესახებ კომ. დაადგინა: კოლ. მდივნებს არ უნდა ეჭიროთ მეორე სამსახური და ამით არ უნდა აფერხებდნენ პარტიულ მუშაობას. კრებამ მცირე კამათის შემდეგ კომ. მოხსენება მიიღო მხედველობაში. საზ. კრების მოწვევის შესახებ კრებამ დაადგინა მოიწვიოს ის 27 ოქტომბერს. დასასრულ გამომუშავებულ იქნა კოლექტ. ყრილობისა და კომიტეტში გასაყვან კანდიდატების სია.

თ. ხ—ლი.

პროვინცია

ქვემო ქალის რაიონი (ქართლი) 20 ოქტომბერს ღამე რიცხვით არა ნაკლებ 7—8 კაცისამ ჯერ თურმე ტყვია დაუშვეს კოტე თუხარელის სახლის ქვედა სართულიდან, სადაც ზედა სართულში იმყოფებოდნენ: ქვრივი თუხარელისა ნატო, 80 წლის მოხუცი და მიანი და ქვრივი ანასტასია ლაბაძისა, 40 წლისა, ობლებით. კარები რადგან შიგნიდან დაკეტილი დახვდათ, შემოარტყეს ირგვლივ ალყა და დაუწყეს საშინელი სროლა, რომლის დროსაც ორივე დედაკაცი დახოცეს ზედა სართულში, ბავშვები გადარჩნენ. შემდეგ ბოროტ-განმზრახველებმა ესროლეს ვანო თუხარელის სახლს, აქ კი არავინ მოუკლავთ. გატაცება ვერაფრისა მოასწრეს, რადგან სოფელი ფეხზე დადგა. სასწრაფო ზომებია მიღებული საზოგადოების კომისარის და რაიონული სახალხო გვარდიის შტაბის მიერ. შეპყრობილია ორი ბოროტ განმზრახველთაგანი ეჭვით და ერთი ყარაულელი, რომელიც ამბობს, რომ ესენი იყვნენო. ამ რაიონში დათარეშობენ ის უპასუხისმგებლო პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს წარდგენილ იქნენ გორში დასასჯელად, მაგრამ რაღაცა უკუღმართი ჩვენების გამო არ დასაჯნენ და ესენი უფრო საფუძვლიანად განაგრძობენ თავიანთ გმირობას და თავზარს სცემენ მთელ რაიონს. საჭიროა არის ამის ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს, რომ ბოლო მოეღოს დაუსჯელთა თარეშს რაიონში. სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია მთელი ხალხი. მკვლელობა რიცხვით ოცს აღემატება წელს აქეთკენ.

21—22 ოქტომბერს სოფ. ზემოყურში (ოსები ცხოვრობენ) მთვრალი ვინმე მოხდომია ძმის ოჯახს, მოუკლავს თავისივე ძმისწული გასათხოვარი ქალი და 15 წლის ვაჟი სასიკვდილოდ დაუჭრია ვინტოვკის ტყვიით. მკვლელი დაჭერილია კომისრის მიერ.

22 ოქტომბერს, ქვემო ქალის მოქალაქე ფიდო გორჯოლაძის სახლს გაუფრთხილებლობის გამო გაუჩნდა ცეცხლი. და წვა სახლის სახურავი და ნაწილი იმის ქვეშ შენახული სურსათი. ცეცხლი გაუჩნდა სიმინდის ჩალის კონის საშუალებით, რომელიც ქარს დაეგდო ბოსლის ბუხრის თავზე. ზარალი 10 000 მ. უდრის.

ს. ქვემო ქალას, გარდა სხვა უბედურებისა, თავს დაატყდა ავადმყოფობა, რომელიც გასაოცარის სისწრაფით ედება ხალხს და ხოცავს. ორი დღის განმავლობაში 22 და 23 ოქტომბერს ამ სენმა შეიწირა ხუთი ადამიანის სიცოცხლე. 23 ოქტომბერს ერთი ოჯახიდან დარჩნენ მამა და შვილი და როცა დაბრუნდნენ, იმავე სახლში დახვდათ მკვდარი დიასახლისიც წინათ ერთი მოკვდა ამ სენით (ერთი კვირის წინათ). ეხლა კი ისე გამძვინვარებული აღმოჩნდა, რომ ხალხმა აღარ იცის რით უშველოს თავს. სხვა სოფლებშიც არის გავრცელებული მაგრამ აქამდე ასე სასტიკად არ უმოქმედნია არსად, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში.

სენი ასეთი ხასიათისაა: ოჯახში ერთბაშად ხდებიან ავათ, დიდით პატარამდე, აქვთ გადამეტებული სიცხე და ჭამ-სმას იკრძალავენ და ასე საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ უფრო არ გავრცელდეს ეს უცნაური სენი. სკოლაში სწავლა ამის გამო აღარ სწარმოებს. მთელ რაიონს ერთი ფერშლის მეტი არა ჰყავს და იმასაც საშუალებები აღარა აქვს არც წამლობის და არც დეზინფექციისათვის. რაიონი შეიცავს 28 მდე სოფელს. შველას საჭიროებს.

ალ. ფრუიძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართულ გერმანული სამხედრო მუსიკის კონცერტი. კვირას, 27 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა ქართულ გერმანული მუსიკის სანიმუშო კონცერტი. პროგრამაში გამოცხადებული ლექცია არ შედგა, ლექტორის განცხადებით „ასპარეზის წყალობით“. სამაგიეროთ მოქალაქე ფოცხვერაშვილმა ვიღაცას დაუწყო უადგილო დამსწრეთათვის მოსაწყენი კამათი. სამაგიეროთ მეტად საინტერესო იყო მუსიკალური განყოფილება. მრავალ რიცხოვანმა ქართულ-გერმანულმა შეერთებულმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე მუსიკალური პიესა, სხვათაშორის ახლად გაორკესტრებული „ქართული ეროვნული ჰიმნი“, რომელმაც ფორმალური სანქცია ვერ მიიღო. შესრულებულ იქნა აგრეთვე გერმანული ჰიმნი. ერთიცა და მეორეც ხალხმა ფეხზე ადგომით მოისმინა. უფრო დიდი მუსიკალური ღირსებისაა და დიდ შთაბეჭდილებასაც სტოვებს ლოცვა ქართველი ერისა. ძალიან მოეწონა საზოგადოებას ლაშქრული. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, მაგრამ კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ადგილების ფასები თეატრში ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ა.

განცხადებანი

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და [illegible] 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. სალ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სევიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება სალ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნორდ“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

მედ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილით 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

კბილის საექიმო კაბინეტი
თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან, საბავშვო, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმ[illegible]ის აფთიაქის გვერდით

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. [illegible]

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექ. დიასამიძე განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. გ. ლევენშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და [illegible] ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქ. ხ ო ნ ი.
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ. ოლღას ქ. № 33.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ზ. გ. მუხაძე
იღებს საოლსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—71.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7. [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ექიმი
ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.

სახალხო სახლი.

(შაბათს, 29 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება:

მეზობლები

დრამა 4 მოქმედებად, ტრ. რამიშვილისა·

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ქილაოჯიშვილი, ჭაუჩელი; ბბ. გოცირიძე, რომანიშვილი, ფირიაშვილი, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინოშვილი, თავდგირიძე, ჯაბაური, ჭანკვატაძე.

დასაწყისი სალ. 8 საათზე.

ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე.

რეჟისორი * * *

რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

მსწ-ალ-მეწიგნეთა სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.